619
1952

ეროვნული ბიბლიოთეკა



619
31

# დროშა

№ 10 ოქტომბერი 1952



[redacted]სის საბჭოთა მეურნეობაში. (სიღნაღის რაიონი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 10 (15) ოქტომბერი 1952

გამომცემლობა „კომუნისტი"

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



იოსებ ბესარიონის ძე სტალინი

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა

(ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის გამოჩენას დელეგატები ხვდებიან მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: «ამხანაგ სტალინს ვაშა!», «გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!», «დიდება დიდ სტალინს!»).

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ჩვენი ყრილობის სახელით მადლობა ვუძღვნა ყველა მოძმე პარტიასა და ჯგუფს, რომელთა წარმომადგენლებმაც პატივი დასდეს ჩვენს ყრილობას თავისი დასწრებით ან რომლებმაც გამოუგზავნეს ყრილობას მისასალმებელი მიმართვები,—მეგობრული მოსალმებისათვის, წარმატების სურვილისათვის, ნდობისათვის. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).

ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს ნდობა, რომელიც ნიშნავს მზადყოფნას მხარი დაუჭირონ ჩვენს პარტიას მის ბრძოლაში ხალხთა ნათელი მომავლისათვის, მის ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს პარტიას, რომელიც მძლავრი ძალა გახდა, მხარდაჭერა აღარ სჭირდება. ეს სწორი არ არის. ჩვენს პარტიას და ჩვენს ქვეყანას ყოველთვის სჭირდებოდათ და კვლავაც დასჭირდებათ საზღვარგარეთელი მოძმე ხალხების ნდობა, თანაგრძნობა და მხარდაჭერა.

ამ მხარდაჭერის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოძმე პარტიის მიერ ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებისათვის ყოველი მხარდაჭერა ამავე დროს ნიშნავს თავისი საკუთარი ხალხისათვის მხარდაჭერას მის ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. როცა ინგლისის მუშებმა 1918-1919 წლებში, საბჭოთა კავშირზე ინგლისის ბურჟუაზიის შეიარაღებული თავდასხმის დროს, მოაწყეს ომის წინააღმდეგ ბრძოლა ლოზუნგით „ხელები შორს რუსეთისაგან", ეს იყო მხარდაჭერა, მხარდაჭერა უწინარეს ყოვლისა თავისი ხალხის ბრძოლისა მშვიდობისათვის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირისათვის მხარდაჭერაც. როცა ამხანაგი ტორეზი ან ამხანაგი ტოლიატი აცხადებენ, რომ მათი ხალხები საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგ არ იომებენ (მქუხარე ტაში), ეს არის მხარდაჭერა, უწინარეს ყოვლისა მხარდაჭერა საფრანგეთისა და იტალიის მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებისათვის მხარდაჭერაც. ურთიერთმხარდაჭერის ეს თავისებურება იმით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიის ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, ერთდება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ინტერესებს. (მქუხარე ტაში). რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი ინტერესები საერთოდ განუყოფელია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისაგან.

გასაგებია, რომ ჩვენი პარტია ვალში ვერ დარჩება მოძმე პარტიების წინაშე და თვითონ იგი თავის მხრივ მხარს უნდა უჭერდეს მათ, აგრეთვე მათს ხალხებს მათს ბრძოლაში განთავისუფლებისათვის, მათს ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის. როგორც ცნობილია, იგი სწორედ ასეც იქცევა. (მქუხარე ტაში). მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ განახორციელა რეალური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის ლიკვიდაციისათვის, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა" უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ „დამკვრელი ბრიგადის" წარმატებები მდგომარეობას შეუმსუბუქებდა კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან. (მქუხარე ტაში).

რა თქმა უნდა, ამ საპატიო როლის შესრულება მეტად ძნელი იყო, სანამ „დამკვრელი ბრიგადა" ერთადერთი იყო და სანამ მას უხდებოდა თითქმის მარტოდმარტოს შეესრულებინა ეს მოწინავე როლი. მაგრამ ეს წინათ იყო. ახლა სულ სხვა საქმეა. ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდნენ ახალი „დამკვრელი ბრიგადები" სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით,—ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არიან ის კომუნისტური, დემოკრატიული თუ მუშურ-გლეხური პარტიები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება და რომლებიც მუშაობას განაგრძობენ ბურჟუაზიული დრაკონული კანონების პირობებში. მათთვის, რა თქმა უნდა, უფრო ძნელია მუშაობა. მაგრამ მათთვის იმდენად ძნელი როდია მუშაობა, რამდენადაც ძნელი იყო ჩვენთვის, რუსეთის კომუნისტებისათვის, ცარიზმის პერიოდში, როცა ოდნავ წინსვლას უმძიმეს დანაშაულად აცხადებდნენ. მაგრამ რუსეთის კომუნისტებმა გამძლეობა გამოიჩინეს, სიძნელეებს არ შეუშინდნენ და გამარჯვებას მიაღწიეს. ამასვე მიაღწევენ ეს პარტიები.

მაინც რატომ იმდენად არ გაუძნელდებათ მუშაობა ამ პარტიებს მეფის პერიოდის რუსეთის კომუნისტებთან შედარებით?

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ მათ თვალწინ აქვთ ბრძოლისა და წარმატებათა ისეთი მაგალითები, როგორიც საბჭოთა კავშირსა და სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებშია. მაშასადამე, მათ შეუძლიათ ისწავლონ ამ ქვეყნების შეცდომებსა და წარმატებებზე და ამით გაიადვილონ მუშაობა.

მეორე, იმიტომ, რომ თვით ბურჟუაზია, — განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მტერი, — სხვა გახდა, სერიოზულად შეიცვალა, უფრო რეაქციული გახდა, დაკარგა კავშირი ხალხთან და ამით დაისუსტა თავი. გასაგებია, რომ ამ გარემოებამაც უნდა გაუადვილოს მუშაობა რევოლუციურ და დემოკრატიულ პარტიებს. (მქუხარე ტაში).

წინათ ბურჟუაზია თავს ნებას აძლევდა ლიბერალობა გამოეჩინა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებებს იცავდა და ამით პოპულარობას იქმნიდა ხალხში. ახლა ლიბერალიზმისაგან კვალიც აღარ დარჩენილა. აღარ არის ეგრეთწოდებული „პიროვნების თავისუფლება", პიროვნების უფლებებს ახლა მხოლოდ იმათთვის ცნობენ, ვისაც კაპიტალი აქვს, ყველა დანარჩენი მოქალაქენი კი ითვლებიან ადამიანთა ნედლ მასალად, რომელიც გამოსადეგია მხოლოდ ექსპლოატაციისათვის. გათელილია ადამიანთა და ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, იგი შეცვლილია ექსპლოატატორული უმცირესობის სრულუფლებიანობისა და მოქალაქეთა ექსპლოატირებული უმრავლესობის უუფლებობის პრინციპით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა გადაგდებულია. მე ვფიქრობ, რომ ეს დროშა უნდა აიღოთ თქვენ, კომუნისტური და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა, და წინ წაიღოთ იგი, თუ გსურთ ხალხის უმრავლესობა შემოიკრიბოთ. თქვენს მეტი ვერავინ აიღებს მას. (მქუხარე ტაში).

წინათ ბურჟუაზია ერის მეთაურად ითვლებოდა, იგი იცავდა ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, რომლებსაც „ყველაფერზე მაღლა" აყენებდა. ახლა „ეროვნული პრინციპისაგან" კვალიც აღარ დარჩენილა. ახლა ბურჟუაზია დოლარებზე ჰყიდის ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას. ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. ეჭვს გარეშეა, რომ ეს დროშა უნდა აიღოთ თქვენ, კომუნისტური

და დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა, და წინ წაი-ღოთ იგი, თუ გსურთ თქვენი ქვეყნის პატრიოტები იყოთ, თუ გსურთ ერის ხელმძღვანელი ძალა გახდეთ. თქვენს მეტი ვერავინ აიღებს მას. (მქუხარე ტაში).

ასეთია საქმის ვითარება ამჟამად.

გასაგებია, რომ ყველა ამ გარემოებამ მუშაობა უნდა გაუად-ვილოს კომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება.

მაშასადამე, ყველა საფუძველი არსებობს გვქონდეს იმედი მოძ-მე პარტიების წარმატებათა და გამარჯვებისა კაპიტალის ბატო-ნობის ქვეყნებში. (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს მოძმე პარტიებს! (ხანგრძლივი ტაში).

სიცოცხლე და გამარჯვება მოძმე პარტიების ხელმძღვანელებს! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას! (ხანგრძლივი ტაში).

ძირს ომის გამჩაღებლები! (ყველანი ფეხზე დგებიან. მქუხარე, ხანგრ-ძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ისმის შეძახილები: „გაუმარ-ჯოს ამხანაგ სტალინს!“, „ამხანაგ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!“, „დიდ სტალინს ვაშა!“, „გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!“. შეძახილები: „ვაშა“).

# მშობლიური პარტია

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეცხრამეტე ყრი-ლობას სტუმრად ესწრებოდნენ ორმოცდაოთხი მოძმე კომუნის-ტური და მუშათა პარტიის დელეგაციები. მსოფლიოს ხალხებ-მა თავიანთი საუკეთესო შვილები წარმოგზავნეს ჩვენი სამშობ-ლოს დედაქალაქში, მოსკოვში, რათა XIX ყრილობის ტრიბუ-ნიდან თავიანთი სალამი, უსაზღვრო სიყვარულისა და მადლო-ბის გრძნობები გადაეცათ დიდი სტალინისათვის, მთელი საბჭო-თა ხალხისათვის. ჩვენს პლანეტაზე, დედამიწის ყველა კუთხეში მშრომელთა ურიცხვი მილიონებისათვის არ არსებობს უფრო საყვარელი სახელი, ვიდრე სახელი დიდი სტალინისა; სტალინი— ეს თავისუფლებაა, სტალინი — მშვიდობაა, სტალინი — ეს არის ხალხთა სიცოცხლე და ბედნიერება. სტალინის სახელი — დრო-შაა, რომელიც წინ მიუძღვის კაცობრიობას კომუნიზმის ბრწყინ-ვალე მწვერვალებისაკენ. ამიტომაც ესოდენ უსაზღვრო და განუ-ზომელია მსოფლიოს ხალხთა მადლობა და სიყვარული დიდი სტალინისადმი.

მსოფლიოს ხალხთა ამ უდიდესი სიყვარულის კიდევ ერთი გამოხატულება იყო მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტი-ების წარმომადგენელთა გამოსვლები ყრილობაზე. როცა ისინი ყრილობის ტრიბუნაზე გამოდიოდნენ — მათს სიტყვებში ისმო-და მათი ქვეყნების ხალხთა ძლევამოსილი ხმა. როცა ტრიბუნა-ზე გამოდიოდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომი-ტეტის მდივანი პაკ დენ აი და დელეგატთა ტაშის გრიალში ყრილობას წითელ დროშას გადასცემდა—მის სიტყვებში ისმო-და ხმა გმირი კორეელი ხალხისა, რომელიც იბრძვის სამარ-თლიანი საქმისათვის, იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლება-სა და დამოუკიდებლობას ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტე-ბისაგან. როცა ჩინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლიუ შაო-ციმ თავის სიტყვაში გამარჯვება და დღეგრძელობა უსურვა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს—ეს იყო მრავალმილიონიანი ჩინეთის ბუმბერაზი ხალხის ხმა.

მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელ-თა მისასალმებელი სიტყვები, ყრილობის სახელზე მოსული დე-პეშები — ეს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტე-ბია, რომლებიც ცხადად მეტყველებენ იმ ულრმეს სიყვარულზე, რომლითაც გამსჭვალული არიან მთელი კაცობრიობის მოწინა-ვე ადამიანები ჩვენი სამშობლოს მიმართ. ეს დოკუმენტები ცხადყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაცი-ონალიზმის პრინციპების დიად ცხოველმყოფელ ძალას, სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა უდიდეს გავლენას მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის განვითარებაზე.

თავის ბრძნულ სიტყვაში პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მადლობა გადაუხადა ყველა მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიას, რომელნიც მიესალმნენ ყრილობას. ამხანაგმა სტალინმა, თავის შთამაგონებელ სიტყვაში ბრძოლისა და გა-მარჯვების ნათელი პერსპექტივები დაუსახა მსოფლიოს ხალხ-თა რევოლუციურ მოძრაობას. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა: „მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ განახორციელა რეალური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის ლიკვიდაციისათვის, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომ-ლებიც აღტაცებულნი იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრა-ობის „დამკვრელი ბრიგადა“ უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოსთქვამდნენ, რომ „დამკვრელი ბრიგადის“ წარმატებები მდგომარეობას შეუმსუბუქებდა კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმი-ნავ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა ეს იმედები, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

## ყრილობის დელეგატი

დიდი ტრიბუნის მზიურ ნათელს შეერთებია
მისი მკერდიდან ვარსკვლავის შუქი.
ქვევით, დარბაზში მისი ძმები, მისი დებია,
მისებრ მხატვრები სამშობლოს რუკის.

მათ გუნდთან ერთად, მშენებელი დაუცხრომელი,
კომუნიზმისთვის ხარაჩოს მართავს, —
გამარჯვებული შემოქმედი დიდი ცხოვრების,
სიცოცხლით ავსებს უდაბნოს კალთას.

სადაც ველს ეძმო, მყისვე გვალვამ პირი იბრუნა,
ხეების ლაშქრით კვალდაკვალ მიჰყვა...
და მეცხრამეტე პარტყრილობის დიდმა ტრიბუნამ
მიტომ აანთო ვაჟკაცის სიტყვა.

დარბაზს პირველად რომ დახედა, ოდნავ ღელავდა,
ახლა თამამი ხმა ლაღად ისმის.
უსმენს ყრილობა, გადაავლო თვალი ბელადმა, —
მხნეობას მატებს ღიმილი მისი.

ხმას უფრთიანებს საქმის ძარღვი, გულით გამთბარი,
შრომაში სიმხნე, ხელგაშლილობა. —
დარბაზში ჭაღიც ბრძენის თვალით არის დამტკბარი,
ბელადის სხივით ბრწყინავს ყრილობა.

სიბრძნის ეს სხივი ყველგან დიდი, ყველგან საჩვენო,
მზის ნათელივით მუდამ ულევი,
აძლევს გმირს ძალას, რომ სამშობლო მხარეს აჩვენოს
შრომის ახალი სასწაულები.

გიორგი კაჭახიძე

რა თქმა უნდა, ამ საპატიო როლის შესრულება მეტად ძნელი იყო, სანამ „დამკვრელი ბრიგადა“ ერთადერთი იყო და სანამ მას უხდებოდა თითქმის მარტოდმარტოს შეესრულებინა ეს მოწინავე როლი. მაგრამ ეს წინათ იყო. ახლა სულ სხვა საქმეა. ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდნენ ახალი დამკვრელი ბრიგადები სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით — ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა“.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის **XIX** ყრილობამ საბჭოთა ხალხის ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ამ ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიული სიტყვა ყრილობის საბოლოო სხდომაზე — წარმოადგენენ ბრძოლისა და გამარჯვების დიად პროგრამას, რომელიც საბჭოთა ხალხს რაზმავს კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის ყრილობები მუდამ წარმოადგენდნენ განუზომელად დიდი მნიშვნელობის მოვლენებს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ეს აიხსნება იმით, რომ „საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და წარმმართავი ძალა, როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ისე ომის დღეებში არის ლენინის პარტია, ბოლშევიკების პარტია“. (ი. სტალინი). გოლიათმა საბჭოთა ხალხმა ჩვენი ბრძნული, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგი სტალინის წინამძღოლობით მოიპოვა ისტორიული გამარჯვებანი, განუზომელად აამაღლა და განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი, გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ამხანაგ ი. ბ. სტალინის ახალი გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც **XIX** ყრილობის წინ გამოქვეყნდა, განსაზღვრავს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მეცნიერულ საფუძვლებს, გვისახავს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვაში, ყრილობის დელეგატთა გამოსვლებში, დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, საერთოდ მთელი ყრილობის მასალებში თვალნათლივ გამოჩნდა ბრწყინვალე გამარჯვება კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა, ლენინიზმის ძლევამოსილი იდეებისა, რომელნიც ყოველდღიურად ხორცს ისხამენ და რომელთაც შეუჩერებლად მიჰყავთ მოწინავე კაცობრიობა წინ დიადი კომუნისტური მომავლისაკენ.

ჩვენი საბჭოთა სამშობლოს გრანდიოზულ წინსვლაზე მეტყველებენ ამხანაგ სტალინის ინიციატივით გაჩაღებული მშენებლობანი გრანდიოზული ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა ვოლგასა და დნეპრზე, დონსა და ამუ-დარიაზე. უკვე მწყობრში ჩადგა დიდი ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი. იზრდებიან გრანდიოზული ქარსაცავი ტყეთა ზოლები, შენდება ახალი ფაბრიკები და ქარხნები, მაღაროები და შახტები, სულ უფრო და უფრო უხვი და მაღალი მოსავალი მოჰყავთ საკოლმეურნეო მინდვრების ნოვატორებს, მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე, წინ მიდის ჩვენი მეცნიერება და ტექნიკა, ლიტერატურა და ხელოვნება — ყოველივე ეს მოასწავებს საბჭოთა კავშირის საწარმოო და სულიერი ძალების განვითარების ახალ ეტაპს.

**XIX** ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ. ამიერიდან ჩვენს პარტიას ეწოდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პარტიის ახალი სახელწოდება გამოხატავს იმ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს, რომ ლენინურ-სტალინურმა პრინციპებმა სრული და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ჩვენს პარტიაში.

ყრილობამ მიიღო და დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი წესდება, რომელიც ბრძნული სტალინური ფორმულირებებით განაზოგადებს საბჭოთა ხალხის ნაცადი ავანგარდის, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის — სახელოვანი კომუნისტური პარტიის უმდიდრეს ორგანიზაციულ გამოცდილებას. „ამჟამად — ნათქვამია წესდებაში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

**XIX** ყრილობის მუშაობამ ცხადყო ჩვენი პარტიის უდიდესი ერთიანობა, მისი მჭიდრო დარაზმულობა ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო. ყრილობამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს და პრაქტიკულ მუშაობას.

**XIX** ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი თავის ძალებს ახმარს მშვიდობიან მშენებლობას, კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას მეხუთე სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

## ორი გიგანტის სტახანოველები



შოთა და ვაჟა გიგიბერიები ძმები არიან. მათ სოცშეჯიბრში გამოიწვიეს ერთმანეთი და თვითეული მათგანი ცდილობს, რომ გამარჯვებული გამოვიდეს ამ შეჯიბრიდან. ისინი ერთდროულად დგებიან დილით, ერთდროულადვე მიეშურებიან ქარხნისაკენ, თუმცა ერთმანეთისაგან ასეული კილომეტრით არიან დაშორებულნი; შოთა გიგიბერია ქუთაისის ავტოქარხნის სამსხმელო-სარემონტო საამქროს სტახანოველი მეყალიბეა, იგი XIX პარტყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგა და გეგმას 200%-ით ასრულებს. ვაჟა გიგიბერია კი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში მუშაობს. ძნელი სათქმელია, რომელი გაიმარჯვებს სოცშეჯიბრში, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ არც ერთი მათგანი არ დაიშურებს ენერგიას, რათა უფრო მეტი ყალიბი დაამზადონ ქართული ავტომობილისათვის, უფრო მეტი ფოლადი მისცენ სამშობლოს.



ფოტოზე: შოთა გიგიბერია (მარცხნივ) და ვაჟა გიგიბერია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

# ქართული შამპანური

ე. მარიამიძე



ფოტოზე: შამპანური ღვინო-მასალების საამქროს ერთ-ერთი სექცია.

ფოტო ო. თურქიასი

ვინც კი თბილისიდან მცხეთის მიმართულებით გაჰყოლია მატარებელს, გზის მარჯვენა მხარეზე უსათუოდ შეამჩნევდა ყვითლად შეღებილ ლამაზ შენობას — ავჭალის შამპანური ღვინოების ქარხანას. გარედან დათვალიერებისას არასოდეს არ მოგივათ აზრად, თუ რა სიმდიდრეს, რა საოცრებას „მალავს“ ამ შენობის კედლები.

როგორც კი მის ფართო, გრძელ დერეფანში შეხვალთ, მაშინვე იგრძნობთ სასიამოვნო, ოდნავ დამათრობელ სურნელებას — შამპანური მასალების სუნს. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილება მაშინვე გავიწყდებათ, რადგან დერეფნის ბოლოს თვალს მოჰკრავთ ასეთ სურათს: ზევით, ჭერთან ახლოს გამოდიან კონვეიერზე წყვილ-წყვილად დამაგრებული ბოთლები და მოპირდაპირე კედელში „იკარგებიან“. ცნობისმოყვარეობა და ცოდნის სურვილი თავისას აკეთებს: მიხვალთ ახლოს და დაინახავთ, რომ ბოთლები გამოდიან სამრეცხაო საამქროდან, სადაც მექანიკური წესით დიდი წნევის ქვეშ ხდება ბოთლების რეცხვა, ხოლო აქედან საჩამომსხმელო საამქროში გადადიან.

ეს საამქრო, მანქანებთან და მომსახურე პერსონალთან ერთად, მთლიან მექანიზმს წარმოადგენს, აქ ყველაფერი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არის მოწყობილი.

ანალოგიური მდგომარეობაა საამქროს ყველა უბანზე. ლამაზი სანახავია, როდესაც წუნმდებელი მუშა აიღებს ბოთლს და ფარანში მოათავსებს; ბოთლის სიმძიმე ჩართავს ელექტროწრედს, აინთებიან ნათურები და ოქროსფრად აელვარდება ელექტროსხივებით განათებული შამპანური. წუნმდებელი გულისყურით ათვალიერებს ბოთლში სითხეს, მაგრამ იშვიათად ნახულობს წუნს. აუცილებლად დაინტერესდებით, თუ რა ნიშნებით ხდება წუნის დადება და კითხვით მიმართავთ წუნმდებელ მუშას, ის კი უსიტყვოდ აიღებს გვერდზე გადადებულ ბოთლს, გაამუქებს ფარნით და გეტყვით:

— აი, შეხედეთ! — მაგრამ თქვენ ვერაფერს ვერ ამჩნევთ. მუშას გაეღიმება, გულში მაინც აუცილებლად დაგცინებთ ასეთი „გამოუცდელობისათვის“, და ხელმეორედ მიგითითებთ. მთელი ყურადღებით დააკვირდებით და ძლივძლივობით შეამჩნევთ საცობის პატარა ნამცეცს, რომელიც იმწუთშივე თავზე მოექცევა ღვინოს, ეს კი თურმე დიდი წუნია.

ამ საამქროში ასხამენ, როგორც რეზერვუარების, ასევე ბოთლებში ჩამოსხმის მეთოდით მიღებულ ღვინოებს. ამ ორივე მეთოდის არსს დაწვრილებით და გასაგებად აგიხსნით ქარხნის ტექნიკური დირექტორი, გამოცდილი შამპანისტი შალვა სიმონის ძე ორაგველიძე.

ბოთლებში ჩამოსხმის მეთოდით შამპანურის დამზადება, ძველი მეთოდია — ამბობს ამხ. ორაგველიძე — ამ პროცესის ხანგრძლივობა წინააღმდეგ რეზერვუარების მეთოდისა, დიდხანს, სამი წლის განმავლობაში გრძელდება. სამაგიეროდ ღვინის ხარისხი უკეთესი გამოდის, თუმცა... აი, ნახეთ, ამის შესახებ რას წერს პროფესორი ფროლოვ-ბაგრეევი — შამპანური ღვინის წარმოების პიონერი საბჭოთა კავშირში — ამხ. ორაგველიძე შლის ქარხნის შთაბეჭდილებათა წიგნს და ვკითხულობთ მხცოვანი პროფესორის ჩანაწერს: „დეგუსტაციისას ვერ შეამჩნევ განსხვავებას რეზერვუარსა და საბოთლო სისტემას შორის. ფრანგულ და გერმანულ შამპანურებთან პარალელურმა შედარებებმა დაამტკიცეს, რომ მათი ხარისხი გაცილებით დაბლა დგას“.

წაიკითხავთ დიდი სპეციალისტის ამ სიტყვებს და სიამაყის გრძნობით აღივსებით, რომ ქართულ საბჭოთა შამპანურს ასეთ დახასიათებას აძლევენ. გადაფურცლავთ შთაბეჭდილებათა წიგნს და შენიშნავთ, რომ ქარხანა საზღვარგარეთელ სტუმრებსაც დაუთვალიერებიათ. სტუმრებს, რომლებიც ასე კარგად იცნობენ ფრანგულ და გერმანულ შამპანურს და, რომლებიც აქ ჩამოსვლის შემდეგ რწმუნდებიან, რომ თურმე არცთუ ისე კარგად იცნობდნენ შამპანურ ღვინოებს.

— ახლა კი ჩავიდეთ ქვევით და დავათვალიეროთ შამპანური ღვინო-მასალების საამქრო! — ამბობს ამხ. ორაგველიძე.

— სად ქვევით?!

— თქვენ ქარხნის მესამედი ნახეთ მხოლოდ, მიწის ქვეშ კიდევ ორი სართულია.

ჩახვალთ და გაგაოცებთ ქარხნის გიგანტურობა, ღვინო-მასალების საამქროს აუარებელი სექცია — უამრავი კასრებით, 1000 დეკალიტრიანი ბუტებით, უზარმაზარი ცისტერნებით. ამ საამქროში 6 მლნ. ლიტრი შამპანური ღვინის მასალა ინახება.

მიწისქვეშა სართულების დათვალიერებისას ავჭალის შამპანურ ქარხანას უნებურად მიუყენებთ ქართულ გამოთქმას: „რაც ზევით არის, ორი იმდენი მიწაშია“, ოღონდ, რასაკვირველია, კარგი გაგებით.

XIX პარტყრილობასთან დაკავშირებით ქარხნის კოლექტივმა შრომის ნაყოფიერება გაზარდა 10%-ით გეგმასთან შედარებით, და ვალდებულება აიღო გამოუშვას მხოლოდ უმაღლესი ხარისხის შამპანური.

დეგუსტატორთა კომისიასაც უმეტეს შემთხვევაში ეს დასკვნა გამოაქვს:

„უმაღლესი ხარისხისაა“.

გაფორმების საამქროში ყელმოვერცხლილი ბოთლები იფუთნებიან და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში იგზავნებიან წარწერით:

„თბილისის შამპანური ქარხანა.“

ჩვენი სამშობლოს მოქალაქეები კი — ყოველგვარი საქონლის მკაცრი „დეგუსტატორები“, სიამოვნებით სინჯავენ ქართულ შამპანურს და ეთანხმებიან კომისიის დასკვნას — „უმაღლესი ხარისხისაა“.

ვახტანგ ნადარეიშვილი

## კორეელი ბიჭის ბალადა

მისდევენ,
ესროლეს,
ხალათი გაწითლდა
ველარ შეეფარა პალმების ჩრდილს,
ჩამუხლა,
მისდევენ დაგეშილ ძაღლით და
ძლივსღა მიბარბაცებს, ძლივს...
ფხენიანს წერილით მტრედი გააფრინა,
გულიც გასაფრენად სცემს...
მან გუშინ წერილი მისწერა კიმ-ირ-სენს,
— ის დამნაშავედა სცნეს.
პერანგის სახელოს ხელდახელ ჩაიხევს
და იმით შეიხვევს ხელს
ო, ის არ მოკვდება,
თუ მისი წერილი,
მიუვა კიმ-ირ-სენს.
მისდევენ, ესვრიან, ყიჟინით, სიცილით,
ხილაზე გამოჰყვა მდინარის პირს,
ესვრიან, მოარტყეს, განა დააცილეს...
ეჰ, მკლავში ჰრილობა სჭირს.

ბიჭუნას ნაკვალევს მიაგნეს ძაღლებმა,
ხტიან და უყეფენ
ვით ნუკრის კვალს,
ბიჭუნა წყალშია, ყელამდე დასველდა,
და მაინც წყურვილი კლავს.
ნეტავი იქ იყოს...
მკლავს გაულოკავდა...
ნეტავი სადა ხარ, შავყურა ტოპ?!
შენ ალბათ დედაჩემს ფეხებზე ეხვევი,
შენ ალბათ რაღაცას გრძნობ...
ის ჩემი მტრედიც ხომ დანამულ ტოტებზე,
ალბათ უგუნებოდ ფრენს,
დღეს მე რომ მესროლეს, —
იმასაც ესროლეს...
და მაინც ლაღად შლის ფრთებს
იფრინე, ფრთათეთრო,
მშვიდობით იფრინე,
კორეის განთიადს შემოხვდი ხვალ.
მდინარეს შეერთო ბავშვური გულისთქმა
და მისი დუდუნა ხმა...



ლენინის სახელობის ოქუმის მილიონერ კოლმეურნეობაში უხვი მოსავლის ცნობილი ოსტატები შეერთებული ძალით სახავენ ყოველ ახალ აგროღონისძიებას. სურათზე: კოლმეურნეობის აგროლაბორატორიაში.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

# სოფელი კომუნიზმის კარიბჭესთან

მურმან ლებანიძე

### ბუხჰალტერი წერს მრავალნიშნიან რიცხვებს

დილის ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენ ლენინის სახელობის ოქუმის კოლმეურნეობის გამგეობის შენობაში შევედით. ყველა ოთახი ჩაკეტილი დაგვიხვდა, მხოლოდ ერთიდან ისმოდა საანგარიშოს მონოტონური ჩხარუნი. კარი ღია იყო, შევედით.

იქ დაგვხვდა 50-55 წლის ხმელ-ხმელი, შავგვრემანი კაცი, ძეძვის ცოცხივით გაფარჩხულ წარბებქვემოდან გამოგვხედა, რაღაც სალმისმაგვარი წაიბუტბუტა, საქმეს უჩქარა, წამოწყებული გაანგარიშება ჩამოათავა და ფეხზე წამოგვიდგა. ჩვენ მოვახსენეთ ჩვენი მოსვლის მიზანი — გავიცნოთ მილიონერი კოლმეურნეობა.

— ცუდ დროს მოხვედით, — თქვა მან — საღამომდე ვერავის ნახავთ, ყოველ შემთხვევაში მოიცადეთ, ეგებ შუადღისას ცოტახნით მაინც გამოჩნდეს ვინმე.

რიგ-რიგად ვიკითხეთ: თავმჯდომარე, პარტორგი, აგრონომი...

— პლანტაციებში არიან, — გვიპასუხა მან, — განაწილებული აქვთ უბნები. წრეულს ცუდმა კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუშალა ჩაის. რადაც არ უნდა დაჯდეს, ჩაის დამზადების გეგმა მაინც უნდა შევასრულოთ...

კარგახანს ვისხედით მდუმარენი. ჩვენი მასპინძელი ამ ხნის განმავლობაში ბუტბუტებდა ჩვენთვის გაურკვეველ სიტყვებს, აჩხარუნებდა საანგარიშოს, დროდადრო პასუხობდა ტელეფონით ვიღაცეებს. ზრდილობისათვის ორ-სამჯერ გვკითხა ამინდისა და მგზავრობის შესახებ... და კვლავ განაგრძობდა მუშაობას. წერდა მსხვილ-მსხვილ რიცხვებს, უამრავი ნულებით. ფანჯრიდან მოჩანდა უზარმაზარი, დახუნძლული ტუნგო. შენობაში ისევ დუმილი სუფევდა. კედელზე ეკიდა ათასგვარი დიაგრამები და დაფა შარშანდელი მაჩვენებლებით. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ეს იყო კაცი, რომელსაც ძილშიც კი ახსოვდა, რომ კოლმეურნეობის შარშანდელი შემოსავალი ათ მილიონს აღწევდა, ხოლო წელს გულის ფანცქალით მოელოდა, რომ შემოსავალს ათი მილიონისათვის გადაეცილებინა.

— ბოდიში, ბატონო! — მოგვაძახა მან, როცა ჩვენ უკვე კიბეებზე ჩამოვდიოდით.

### ოქუმის მიდამოებში

ამ ოციოდე წლის წინათ ოქუმელებს მოჰყავდათ სიმინდი, ლობიო, პილპილი და თამბაქოც „საშინაოდ"... ახლა, როდესაც ოცი წლის თავზე ვეცნობით კოლმეურნეობას, ვერ გადაგვიწყვეტია, საიდან შევუდგეთ საქმეს.

კოლმეურნეობის გამგეობის წინ საპატიო დაფასთან ვდგავართ.

500-ზე მეტი კომლისგან შესდგება ოქუმის კოლმეურნეობა. მის განკარგულებაშია რამდენიმე ასეული ჰექტარი. 172 ჰექტარი ჩაის პლანტაციებს უჭირავს, 173 — ტუნგოს, 60 — ციტრუსებს.. ასობით ჰექტარი უჭირავს სიმინდს, ხეხილის ბაღებს, საძოვრებს ფერმებისათვის, სამოსახლოებს... კოლმეურნეობას აქვს დიდი ფერმები: მსხვილფეხა საქონლისა, მეცხვარეობისა, მეღორეობისა, მეფრინველეობისა, ჰყავს 200 ძირი ფუტკარი.

ეს კოლმეურნეობა ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოში ერთ-ერთ უძლიერეს მილიონერ კოლმეურნეობად იქცა: ახლა ოქუმის გამზირზე დაჰქრიან კოლმეურნეთა მსუბუქი მანქანები, მძიმე მანქანებს გადააქვთ პლანტაციებში ტონობით სასუქი და ფაბრიკებისაკენ მიაქვთ ჩაის ნედლეული. ზღაპრულად იზარდა დოვლათმა და ბარაქამ. გაიზარდნენ ახალი ადამიანები.

საპატიო დაფაზე მრავალი კოლმეურნის სურათია. აქაა ლენინის ორდენოსანის, ღრმად მოხუცი კოლმეურნის შამათავას ფოტოსურათი, ახალგაზრდა კომკავშირელი ქალიშვილის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნათელა ბულისკერიას პორტრეტი. აქაა კალისტრატე ბულისკერიას მთელი ოჯახი: კალისტრატეს მეუღლე — ლაისო, მისი და — იმენა და თვით კალისტრატე — სამივე სოციალისტური შრომის გმირია.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს სტალინური პრემიის ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირის, ჩოქოლი ქვაჩახიას პორტრეტი, მაგრამ სასტუმროს დირექტორი გვეუბნება, რომ მას ახლა პლანტაციაში ვერ ნახავთ, უკვე გაემგზავრებოდა თბილისში საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობაზეო.

სცრის სექტემბრის წვრილი წვიმა. მივდივართ სანერგეში, გვაინტერესებს ვნახოთ სანერგე მეურნეობა, რომელსაც ყველა აქებს.

მივტოპავთ ხეხილის ბაღებში, გალუმპულ ბალახში. სასტუმროს დირექტორი მიგვიძღვის წინ, ღობეს წკნელი გამოსტეხა, მარცხნივ და მარჯვნივ უშხაპუნებს სველ ბალახს — ეგ იმიტომ, რომ ბალახმა ნაკლებად დაგვასველოს.

თავდება ხეხილის ბაღები და გავდივართ უზარმაზარ სანერგეში. სანერგე აჭრელებულია სხვადასხვა ფერის მეჩხერი კვლებით. აქ არის ტრიფოლიატის ჯერ დაუმყნობელი ნერგები. ეს კვლები მუქმწვანედ გამოიყურებიან. წლევანდელ ახალ ნამყენებს, ქვედა სადედეს ზემოთ ლიმონისფერი რამდენიმე წვრილი ფოთოლი გამოუღიათ. შარშანდელი ნამყენები დაჩიტულან და პლანტაციაში გასაფრენად შემზადებულან.

1948 წლამდე სანერგე მეურნეობა არ ყოფილა ასე დიდი, — მაშინ 40 - 50 ათასი ძირი ნერგი თამამად კმაროდა საკუთარი და სხვა კოლმეურნეობებისათვისაც. 1948 წლის დიდმა ყინვებმა ნაწილობრივ დააზიანა კოლმეურნეობის სანაქებო ციტრუსების პლანტაცია. სანერგე მეურნეობის წინაშე დაისვა სერიოზული ამოცანა: ყოველწლიურად განუხრელად ედიდებინა ნერგების წარმოება. წელს უკვე ორასი ათას ნერგს ითვლის სანერგე.

წვიმამ გადაიღო. მზემ გამოიხედა. ნახევარ საათს შემდეგ ელსადგურს ვუახლოვდებით. ვსაუბრობთ ელსადგურის მექანიკოსთან. ეს სადგური აღარ გვყოფნის, — ამბობს ელექტრომექანიკოსი, — ამ რამდენიმე წლის წინ, ვიდრე ჩაის ფაბრიკა, ელექტროწისქვილი და მრავალი ფერმა გაგვიჩნდებოდა, გვყოფნიდა... ახლა აღარ გვყოფნის...

კოლმეურნეობის ახალი გეგმის მიხედვით ოქუმელებს მრავალ სხვა მშენებლობასთან ერთად გათვალისწინებული აქვთ ახალი ელსადგურის აგება.

სოფელში ვბრუნდებით. სამხრობაა. გზად შემოგვეყარა კოლმეურნეობის ჯოგი. ჩემს თანამგზავრს უზომოდ უყვარს მეცხენეობა. რომელ კოლმეურნეობაშიც არ უნდა მოხვდეს, ამ თემაზე ჩამოაგდებს საუბარს და თუ ცხენი დაინახა, ფოტოაპარატი დამიზნებული აქვს. გავიცანით მწყემსები. ისინი სამნი არიან, ჯოგს მთის საძოვრებზე მიერეკებიან. ფეხდაფეხ მივყვებით. ვასილი მოხერხებულ, ლამაზ ადგილს ეძებს სურათის გადასაღებად. მას უნდა, როგორმე, სერზე რომ გადამწკრივდება რემა, მაშინ გადაიღოს. ვუახლოვდებით სერს, მაგრამ მზე გვასწრებს ჩასვლას. ვემშვიდობებით მწყემსებს და გულდაწყვეტილნი სოფლისკენ მივდივართ.

## საუბრის თემა კმაყოფილებას იწვევს

დავბრუნდით სასტუმროში... ჩაგვძინებია, ფანჯრები ღია დაგვრჩენია. გაგვაღვიძა მანქანების გრიალმა და საოცრად გამყივანმა სიმღერამ. გავახილეთ თვალი — ღამეა. ოქუმის გამზირი გაჩირაღდნებულია: მოჰქრიან მანქანები პლანტაციებიდან, მღერიან ოქუმელი პიონერები. დღეს კვირა დღეა და ჩაის პლანტაციებიდან ბრუნდებიან. გვახსენდება, რომ მხოლოდ ახლა შეიძლება კოლმეურნეობის ხელმძღვანელებთან შეხვედრა, ვემზადებით გამგეობაში წასასვლელად. სასტუმროს დირექტორი მანქანებს გადასცქერის სარკმლიდან და გვამცნობს, რომ ოქუმელმა მოსწავლეებმა ოც ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს საზაფხულო არდადეგებზე და კვირა დღეებში ახლაც განაგრძობენ ჩაის კრეფას.

ავდივართ გამგეობის გაჩირაღდნებულ კიბეებზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტი ღიაა — შედის და გამოდის ხალხი: კოლმეურნეები, ბრიგადირები, ფერმის გამგეები, ჩვენი ნაცნობი ბუხჰალტერი — ათასგვარი საქმის ქაღალდით... ვეცნობით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — შუახნის, შავგვრემანსა და მკვირცხლი გამომეტყველების კაცს. ვსაუბრობთ კოლმეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტორგი კმაყოფილნი არიან საუბრის თემით... მაგიდაზეა ნახაზები, პროექტები, ბალანსები...

— ჩვენ გადაჭარბებით ვასრულებთ მეცხოველეობის გეგმას, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — გვყავს ცხენის ჯოგი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, გვაქვს მეცხვარეობის ფერმა, მეღორეობის ფერმა, მეფრინველეობის ფერმა... ამ ხუთწლედში კიდევ უფრო წინ წავწევთ მეცხოველეობის საქმეს. გათვალისწინებული გვაქვს დიდი მექანიზებული ფერმის ორგანიზაცია.

დავცქერით მექანიზებული ფერმის შენობის პროექტს. შენობის სიგრძე 80 მეტრი იქნება, სიგანე — 20. ფერმაში ეყოლებათ მხოლოდ მეწველი საქონელი, აქვე იქნება სახბორე, 50 სულზე გათვალისწინებული. მექანიზებული ფერმა უზრუნველყოფილი იქნება საწველი მანქანებით, საქონლის საკვები პროდუქტების გადამხარშველი მანქანებით, საკვებისა და წყლის მიწოდების მექანიზაციით და ელექტროფიკაციით.

შემდეგ ვსაუბრობთ ოქუმის გამზირის კეთილმოწყობაზე და დიდხანს ვდგავართ კედელზე გაკრული პროექტის წინ. ესაა ოქუმის კოლმეურნეობის კულტურის სახლის შესანიშნავი, ორსართულიანი შენობა, იგი გამზირს დაამშვენებს. მასში მოთავსდება: კლუბი, ბიბლიოთეკა, აგროლაბორატორია, კოლმეურნეობის გამგეობის კანტორა, და სხვა მრავალი დამხმარე სათავსო.

ამავე გეგმით გათვალისწინებულია ახალი პლანტაციების გაშენება, ძველი პლანტაციების მოსავლიანობის გაზრდა, ძველი ხიდების შეკეთება, ახალი ხიდების აგება და მრავალი სხვა.

გვიან ღამემდე ვსაუბრობთ, დავიღალეთ. ხვალ ადრე ვართ ასადგომი, ჩაის პლანტაციები უნდა დავათვალიეროთ. ვეთხოვებით და გამზირზე გამოვდივართ. სასტუმროსკენ მივდივართ. გამზირზე ხალხი მოძრაობს, სამკითხველოში ხალხია, კლუბიდან გვესმის ჩონგურის ხმა და სიმღერა.

## პლანტაციების მკვიდრნი

დილის 6 საათზე გაგვაღვიძა სასტუმროს დირექტორმა. მივყვებით პლანტაციებისაკენ მიმავალ შელმართიან საავტომობილო გზას. მზე ჯერ არ ამოსულა, მიწა სველია დილის ნამით, ძალიან ადრე მოგვივიდა ადგომა, მაგრამ ასე სჯობია — მოწმენი გავხდებით შრომადღის დაწყებისა. კანტი-კუნტად ყივიან მამლები, და სადღაც უკვე ქშუიან მძიმე საბარგო მანქა-


ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს ოქუმელ კოლმეურნეებში საცხენოსნო სპორტი. ფოტოზე: ოქუმელი ცხენოსნები საკოლმეურნეო სტადიონზე.



ოქუმის სასოფლო ელსადგური.

დილის 7 საათია, ჩაის პლანტაციაში საკუთარი „პობედით" მოვიდნენ სოციალისტური შრომის გმირები: კალისტრატე ბულისკერია, მისი და იმენა (მარჯვნივ) და მეუღლე — ლაისო.





ოქუმის სრული საშუალო სკოლის ახალი შენობა

ნები. გზაზე სანდომიანი სახის 20-22 წლის ქალიშვილი წამოგვეწია, ხელში კალათით. შემდეგ კი ყველანი იროდიონ ფარულავას დავეწიეთ. ეს კაცი აგრონომია. რა ხანია მინდოდა მასთან საუბარი. ყველანი დაწინაურდნენ, მე და აგრონომი ვრჩებით უკან, ვათვალიერებთ სერი-სერ თვალუწვდენ სივრცეზე გადაშლილ პლანტაციებს და ვსაუბრობთ. აგრონომი უჩივის წლევანდელ გვალვებს და მაცნობს გვალვების საწინააღმდეგოდ, ჩაის მოსავლის გადასარჩენად ჩატარებულ აგროღონისძიებებს, რაც ნიადაგის უფრო ღრმად დამუშავებაში, კულტივაციის ოთხის ნაცვლად 5-ჯერ ჩატარებაში და ორგანული და მინერალური სასუქების მეტი რაოდენობით შეტანაში გამოიხატება.

შემდეგ ჩვენ ვსაუბრობთ ოქუმის კოლმეურნეობაში ყინვაგამძლე ციტრუსების ჯიშების გამოყვანაზე.

სერზე შევდექით. ზეგანზე რაღაც სიცილი და ჩოჩქოლი ისმის. ავდივართ. პლანტაციის განაპირას „პობედა“ დგას. მანქანის ირგვლივ კოლმეურნენი ირევიან. „პობედის“ კარი გამოღებულია, ვასილს აპარატი მოუმარჯვებია და სურათს იღებს.

რაშია საქმე ვკითხულობთ. სურათი უკვე გადაღებულია. ვასილი გვაცნობს მანქანის მეპატრონეს — სოციალისტური შრომის გმირებს — მთელს ოჯახს გმირებისას: კალისტრატე ბულისკერიას, მის დას — იმენას, და მეუღლეს — ლაისოს.

ვასილი გაოცებულია გმირთა ოჯახით. მეც ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებ გმირებს. ბავშვივით ვაკვირდები თვითეულ მათგანს, ოქუმელებს კი არ უკვირთ თავიანთი საქმეები, თავიანთი გმირები — თითქოს ვერც ამჩნევენ მათ. ეს გმირები გამონაკლისნი არ არიან ოქუმის კოლმეურნეობაში. „აგერ კიდევ, ქვევით თხმელებთან...“ ამბობენ ჭაბუკები ღიმილით.

— ვინ არის, რა გვარია? — ვკითხულობ მე და თითს თვალს ვაყოლებ.

ეს ხომ ის გოგონაა, წელან რომ აგვემგზავრა — ნათელა ბულისკერია.

ორი-სამი საათის განმავლობაში ვტრიალებთ ახლომახლო. სხვა ბრიგადებში აღარ მივდივართ. ავდივართ ჩაის მიმღებ პუნქტში, სერზე, და აქედან გადავყურებთ ჩაის კრეფას. ჩვენ ვიცით, რომ მარჯვნივ და მარცხნივ სხვა ბრიგადები იბრძვიან, ჩვენ ვიცით, რომ სხვა ბრიგადებშიც არიან გმირები.

სადილობაა. ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტში ამოდიან მკრეფავები. პუნქტის გამგე სწონის და იბარებს ჩაის ფოთოლს. ნახევარი დღის განმავლობაში ბევრს ორი და სამი დღე გამოუმუშავებია უკვე. შესვენებაა. კოლმეურნენი სადილად ეშურებიან.

ჩვენ უკვე ვიხილეთ ოქუმელთა საქმეები და ოქუმიდან გამგზავრების დროც არის. ვსარგებლობთ სოფელში მიმავალი მანქანით. მანქანაში თავსდება გმირთა ოჯახი. როგორმე ჩვენც ჩავეტევით. ვეშვებით დაღმართზე. სასტუმროში ვაპირებთ მისვლას ხელბარგის წამოსაღებად, მაგრამ მანქანა მარცხნივ უხვევს და მალე კოხტა ორსართულიანი შენობის წინ ჩერდება.

— ეს კალისტრატეს ახალი სახლია, — გვეუბნება მასპინძელივით სასტუმროს დირექტორი და მანქანიდან გადმოდის, — წრეულს ააშენა... როგორ მოგწონთ?

— დრო ცოტა გვაქვს, — ბოდიშს იხდის კალისტრატე, — ერთ საათში ისევ პლანტაციაში უნდა ვიქნეთ...

ალებენ ჭიშკარს. „პობედა“ ეზოში შემოჰყავთ და დიდი, ჩუქურთმიანი სამზადის წინ აჩერებენ. მანქანასთან უმალ ჩნდებიან სკოლიდან ახლახანს დაბრუნებულები, ოჯახის მემკვიდრეები. ავდივართ მეორე სართულზე და ფეხზე მდგომარენი წარმოვთქვამთ ტრადიციულს, პირველ სადღეგრძელოს.



# ტრადიციული სპარტა

სპორტსმენთა კოლონას წინ მიუძღვის საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, XV ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ციმაკურიძე. თავიანთი რესპუბლიკების დროშების ქვეშ მოდიან ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მძლეოსნები და ტანმოვარჯიშეები, კალათბურთელები და ველომარბიელნი, ფეხბურთელები და მოკრივეები, მოჭიდავენი და ფრენბურთელები... მათ რიგებში ბრავლად არიან სპორტის ოსტატები, ჩემპიონები და რეკორდსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, ოლიმპიური თამაშების მონაწილენი.

თბილისელი მაყურებლები, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები, გულთბილად ესალმებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციული სპარტაკიადის მონაწილეთ.

გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული ჰანგები და XV ოლიმპიური თამაშების მონაწილენი — ო. ქორქია, მ. ჯუღელი, ა. ტერიანი, ნ. დუმბაძე, რ. დადაშევი, ე. გოკიელი და სხვები ანძაზე აღმართავენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების VI სპარტაკიადის ალამს.

სპარტაკიადა გახსნილია! სტადიონის მწვანე მოლზე მკვირცხლად შემორბიან თბილისელი მოსწავლე გოგონების გუნდი. ისინი ყვავილების თაიგულებს თავაზობენ სპორტსმენებს...

ამიერკავკასიის რესპუბლიკების I სპარტაკიადა 1943 წელს გაიმართა ქალაქ ერევანში. ამ დიდმა სპორტულმა დღესასწაულმა მაშინვე ცხადჰყო თავისი მნიშვნელოვანი როლი, როგორც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი სპორტსმენების ტექნიკური მაჩვენებლების ზრდის დარგში, აგრეთვე, ამ მოძმე ხალხთა შორის ურღვევი სტალინური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში.

პირველ სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები. მეორე ადგილი დაიკავეს აზერბაიჯანელებმა, მესამე — მასპინძლებმა.

ქართველ სპორტსმენებს არც შემდგომში დაუთმიათ პირველობა: მათ გაიმარჯვეს 1945, 1946, 1948, 1950 წლების სპარტაკიადებში. მეორე ადგილზე, გარდა 1948 წლისა, უცვლელად გამოდიოდნენ აზერბაიჯანელი ფიზკულტურელები.

და აი, თბილისში დაიწყო ამიერკავკასიის VI სპარტაკიადა...

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ხუთ დღეს გრძელდებოდა შეუპოვარი და ცხარე ბრძოლები სპორტის სხვადასხვა სახეში.

განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდებოდა ასპარეზობანი ტანვარჯიშში, ველორბოლაში, ფეხბურთში. ვაჟ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა თბილისელმა სპორტის ოსტატმა რ. შარაბიძემ მხოლოდ 0,45 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ ერევნელ სპორტის ოსტატს ზ. მათევოსიანს (111,70). ქალთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი (94, 95 ქულით) გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ჯუღელი (საქართველო). მეორე ადგილი დაიკავა სომხეთის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატმა ა. გრიგორიანმა (91,00). გუნდური პირველობა როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის მოიპოვეს საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა.

იშვიათია 100 კილომეტრზე საგზატკეცილო მარულის ისეთი ფინიში, როგორიც ამჯერად იყო. ამ ძნელი და მომქანცველი ასპარეზობის უკანასკნელ ეტაპზე რბოლის ლიდერებს ვ. ძებნიაურსა (საქართველო) და გ. მინასიანს (სომხეთი) შორის ყოველი მეტრისათვის ცხარე ბრძოლა გაჩაღდა; ხან ერთი გაიჭრებოდა წინ, ხან მეორე. და აი, ფინიშის ხაზი ერთი წამით ადრე გადასერა ძებნიაურმა, რომელმაც მანძილი დაფარა 2 საათში, 59 წუთსა და 49 წამში. თითქმის ასევე მოხდა ქალთა საგზატკეცილო მარულაში და კროსში 10 კილომეტრზე. ვაჟთა კროსში 30 კილომეტრზე დიდი ნებისყოფა გამოიჩინა ახალგაზრდა თბილისელმა გ. ჯოხაძემ, მან პირველმა დაამთავრა დისტანცია. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს სომხეთის ველომარბიელებმა, მეორე — საქართველოს სპორტსმენებმა.

... სპარტაკიადის პირველ დღეს ფეხბურთის მრავალრიცხოვანი მოყვარული უიმედოდ შეჰყურებდა საქართველოს ნაკრების თამაშს. აზერბაიჯანელებთან მატჩში ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები (უმთავრესად თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდიდან) ცუდად თამაშობდნენ და წაგებას ძლივს დააღწიეს თავი; შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

საქართველოსა და სომხეთის გუნდების შეხვედრის პირველივე წუთებში თბილისელ „გულშემატკივართა“ უიმედობის ღრუბელი მარცხენა შუამარბის კუჭაიძის ძლიერმა დარტყმამ წამსვე გაფანტა: სომხეთის ნაკრების მეკარემ

სპარტაკიადაზე გამარჯვებულნი: მ. ჯუღელი (მარცხნივ) და ნ. დუმბაძე.



# კიდის ფალავნები



სპარტაკიადაზე გამარჯვებულნი (მარცხნიდან მარჯვნივ): ლ. სანაძე (საქართველოს სსრ), მ. პეტროსიანი (აზერბაიჯანის სსრ) და მ. კარაპეტიანი (სომხეთის სსრ).

ძლივს მოიგერია ბურთი. მთელი თამაში თბილისელთა ენერგიული შეტევებით აღინიშნა და მათივე გამარჯვებით დაგვირგვინდა — 1:0.

ფეხბურთელთა ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველო, 2. სომხეთი, 3. აზერბაიჯანი.

სამი დღე იდგა თბილისის ცირკის კოხტა შენობა „ალყაშემორტყმული": ყველა მსურველი როდი დაიტია ცირკის ამფითეატრმა. საასპარეზოდ ჯერ მოჭიდავეები გამოდიოდნენ, მერე რინგი იჭიმებოდა წრეში, — მოკრივეები უხვად „უმასპინძლდებოდნენ" ერთმანეთს მუშტების სეტყვით. კლასიკურ ჭიდაობაში, სპორტის ამ რთულ სახეში, განსაკუთრებული ოსტატობა გამოამჟღავნეს დ. ციმაკურიძემ და გ. კარტოზიამ (საქართველო), ა. ტერიანმა (აზერბაიჯანი). ამათ გარდა სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ს. ვარდანიანი (სომხეთი), მ. ბაბაევი (აზერბაიჯანი) და ვ. მაჩკალიანი (საქართველო).

მოკრივეთა ენაზე რომ ვთქვათ, შესანიშნავად იმუშავეს ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა გ. ხანუკაშვილმა, მიქაელიანმა და ძმებმა დარბაისლებმა.

ცუდად წაუვიდათ საქმე მიქაელიანის მოწინააღმდეგეებს. ორივე „ბურუსის სამყაროში" გაისტუმრა ენერგიულმა და ძლიერმა თბილისელმა, — ნოკაუტით დაუსვა წერტილი ორივე მატჩს. კრივის მაღალი კულტურით და კარგად გამოკვეთილი მოქმედებით თბილისელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა ახალგაზრდა ერევნელმა ვ. ენგიბარიანმა.

თავიანთ წონით კატეგორიაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე გ. ჯიქია და ბაბახანიდი (ორივე საქართველოდან).

როგორც ჭიდაობაში, ისე კრივში გუნდური პირველობა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს.

კალათბურთელთა ასპარეზობამ ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა სამივე რესპუბლიკის გუნდების ოსტატობის შემდგომი ზრდა.

საქართველოს ვაჟთა გუნდი ყოველგვარი კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა. ქორქია, ჯორჯიკია, ულენტი, ინწკირველი... აბა რომელი ერთი „დაეჭირათ" აზერბაიჯანელ ან სომეხ კალათბურთელებს. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა თავის აქტივში ჩაიწერა ორი გამარჯვება — 86 : 25 აზერბაიჯანთან და 64 : 31 სომხეთთან; სომხეთის ნაკრებმა, რომელმაც ბოლო წლებში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, დაამარცხა აზერბაიჯანელთა კოლექტივი — 60 : 48. სომხეთის ნაკრებში განსაკუთრებით გამოირჩევიან ა. ალაჯაჯიანი (№ 6) და ტ. მურადიანი (№ 4).

პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე საქართველოს ქალთა ნაკრებმა. მეორე ადგილზეა სომხეთის კოლექტივი.

საინტერესო იყო მძლეოსანთა, შტანგისტთა და ჩოგბურთელთა ასპარეზობა. ყველა ამ სახეში პირველობა საქართველოს გუნდებმა დაისაკუთრეს.

* * *

სპარტაკიადაში გამარჯვება ამჯერადაც საქართველოს გუნდმა მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა სომხეთის კოლექტივი, მესამეზე — აზერბაიჯანისა.

სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

მ. გიგაური

### თეიმურაზ ჯანგულაშვილი

## ახალ მიწებზე...

ალაზნის წვენი ხარბად უსვამთ მოკლეფესვიანთ,
მოკლე ფესვიო?..
ცხრა მთას იქით გაიდგეს ფესვი,
ხვალ ყარა-ყუმსაც თვალმოშაქრულ ღიმილს ესვრიან,
— ძმაო თურქმენო, ქართულ ვაზის შარბათიც შესვი.
რუსულ არყის ხეს შემოჰხვიეს მთის ნაზი ლერწი,
მაღლა აცოცდნენ, ჩრდილოეთის მზეს დაენახვნენ,
კარპატებამდე გაიარეს გზა სასიმღერო
და ჩაესიძნენ მოლდაველთის ზვრებს და ვენახებს.
დნეპრთანაც შედგნენ. ზუბოვკისკენ მიმავალ გზაზე,
მწიფე მტევნების შუქი სტყორცნეს უნაპირო ცას.
საქართველოდან გასძახებენ ვაზები ვაზებს:
— ახალ მიწებზე დამკვიდრებას გულით გილოცავთ!
მოძმეთა მიწის ლალი სუნთქვა შეირგეს ტკბილად, —
სიცოცხლის დიდი ვენახია სამშობლო მთელი.
ოქროს მარცვლებში ჩაბადაგდა ოქტომბრის დილა
და დღეს რთველია,
კომუნიზმის წინადღის რთველი!..

## მოხუცი კოლმეურნე

თაფლნარევი საფერავი, დაშაქრული რქაწითელი,
გოდრიდან რომ შემოგცინებს შენც ღიმილით გაბრწყინდები.
რა ყოფილა მიწის მადლი, რა სცოდნია მკლავსაც თურმე,
თვლებქვეშ მიწა იზნიქება და ჭრიალი გააქვთ ურმებს.
შვილიშვილის შვილისათვის ჯაგნის წნელიც დაწნა ხელით,
— ჭამო, ხარო, გველოდება მარანი და საწნახელი.
დაშაქრდეს და დაბადაგდეს დღის ლალი და ღამის შვინდი,
მარჯვენის და მიწის მადლო, დადუღდი და დაგვილვინდი.
ოთხმოცი წლის კოლმეურნე სუფრას გაშლის ახალ სახლში,
მის მოლხენას, მასპინძლობას და ხელგაშლას ნახავთ მაშინ.
ყანწს აიღებს მამისეულს, დაეყრდნობა ბებერ მუხლებს,
მკლავს შემართავს და ბელადის სადღეგრძელოს დააქუხებს.
იტყვის — ბრძენო, მამად გიცან, ნატვრაც ბევრი შემისრულე,
ერთსღა ნატრობს ჩემი გული, წლების ნისლით შენისლული,
— ჩემს სუფრაზე დამწვეოდე, ქართულ სუფრულს ვგუგუნებდეთ
და სიცოცხლის ღიმილებას შენს თვალებში ვუყურებდე.
ყანწი ჭერში შემესროლოს სიხარულით სავსე ბებერს
და შევსვამდეთ ჩვენი დიდი გამარჯვების სადიდებელს.

სპარტაკიადაზე გამარჯვებულნი. (მარცხნიდან მარჯვნივ):
ე. გოკიელი, ვ. ძებნიაური და მ. კუტმანი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა



# ტრეტიაკოვის გალერეა

შ. გვინჩიძე

ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა მოსკოვში—საბჭოთა ხალხის ეს სიამაყე — მსოფლიო მნიშვნელობის სამხატვრო მუზეუმია, სადაც თავმოყრილია რუსული მხატვრობის, გრაფიკისა და ქანდაკების საუკეთესო ნიმუშები. ამ გალერეას საფუძველი ჩაუყარა პავლე მიხეილის ძე ტრეტიაკოვმა.

პ. მ. ტრეტიაკოვი დაიბადა 1832 წლის 28 დეკემბერს, მდიდარი ვაჭრის ოჯახში. მამის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი სიმდიდრის მემკვიდრე პავლე ტრეტიაკოვი გახდა. იგი ახალგაზრდობიდანვე მთელ თავისუფალ დროს კითხვას, მუზეუმების დათვალიერებას, ბიბლიოთეკაში სიარულს, სურათების შერჩევასა და შეძენას ანდომებდა. ასე ვითარდებოდა ამ ნიჭიერი, ნათელი გონების, გასაოცრად თავმდაბალი და პატიოსანი ადამიანის მხატვრული გემოვნება და ინტერესი ხელოვნებისადმი.

იმ ხანებში მოსკოვსა და პეტერბურგში ბევრი მდიდარი ოჯახი იძენდა ხელოვნების ძვირფას ნიმუშებს და ამრიგად იქმნებოდა კერძო გალერეიები.

პავლე ტრეტიაკოვიც გაიტაცა სამხატვრო გალერეის შექმნის იდეამ, მაგრამ იგი სულ სხვანაირად უყურებდა ამ საქმეს. სურათებს იგი მარტო თავისთვის როდი იძენდა, — სურათების შეძენა დიდ საზოგადოებრივ საქმედ მიაჩნდა.

1856 წელს პ. ტრეტიაკოვმა შეიძინა ნ. გ. შილდერის სურათი „ცთუნება". ეს წელი ითვლება ტრეტიაკოვის გალერეის ისტორიის დასაწყისად. 1857 წელს ტრეტიაკოვმა გადასწყვიტა, თავისი გალერეისათვის შეეძინა მხოლოდ და მხოლოდ რუსი მხატვრების ქმნილებანი. და მართლაც, ამ დროიდან მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ტრეტიაკოვს არც ერთი უცხოელი მხატვრის სურათი აღარ შეუძენია.

თავისი გალერეისათვის ტრეტიაკოვმა სპეციალური შენობა ააგო ზამოსკვორეჩიეში. გალერეის ფასადი შესრულებულ იქნა სახელოვანი რუსი მხატვრის ვ. მ. ვასნეცოვის ესკიზების მიხედვით.

ასე ჩაეყარა საფუძველი ნაციონალური ხელოვნების გალერეას, რომელიც ახლა ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის სახელით არის ცნობილი.

გალერეის განვითარების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული რუსულ რეალისტურ ხელოვნებასთან. 60-იანი წლები რუსეთში დიდი საზოგადოებრივი აღმავლობის ეპოქა იყო. ილვიძებდა და ყალიბდებოდა რუსი ხალხის რევოლუციური თვითშეგნება, რამაც თავისი გამოხატულება ხელოვნების ამოცანათა გაგებაშიც ჰპოვა. 60-იანი წლების რუსი მხატვრები ოცნებობდნენ მხატვრობის რუსული სკოლის შექმნაზე, თვითეულ მათგანს არჩეული ჰქონდა თავისი სურათისათვის თემა რუსეთის ცხოვრებიდან, მაშინდელი სამხატვრო აკადემია კი მოითხოვდა ისეთ თემებზე მუშაობას, რომლებიც შორს იყო რუსეთის სინამდვილისაგან. რუსი მხატვრები ვერ ურიგდებოდნენ ასეთ მოთხოვნებს და გამოსავალს ეძებდნენ. ბოლოს ნაპოვნი იქნა ეს გამოსავალიც: მხატვრების — კრამსკოის, მიასოედოვის, პეროვის და სხვების ინიციატივით ჩამოყალიბდა „მოძრავი სამხატვრო გამოფენების ამხანაგობა". „ამხანაგობის" რუსი რეალისტი მხატვრები თავის სურათებში ასახავდნენ რუსეთის ბუნებას, რუსეთის ცხოვრების მწვავე, ამაღელვებელ თემებს, რუსი გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის, წვრილი მოხელეების, ქალაქის ღატაკთა უბადრუკ, ბეჩავ ცხოვრებას, მათი ადამიანური გრძნობების სიმართლეს, ებრძოდნენ ბატონყმობის გადანაშთებს.

„ამხანაგობა" მიზნად ისახავდა რუსული ნაციონალური ხელოვნების პროპაგანდას. მისი პირველი სამხატვრო გამოფენა 1871 წელს გაიხსნა პეტერბურგში. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 47 სურათი. 70-იანი წლების ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები აღტაცებით შეხვდნენ ამ პირველ გამოფენას. დიდი რუსი სატირიკოსი მწერალი სალტიკოვ-შჩედრინი წერდა: „...რუსეთის ხელოვნების ნაწარმოებები, აქამდე ჩაკეტილი მხოლოდ პეტერბურგში, სამხატვრო აკადემიის კედლებში, ანდა ჩამარხული კერძო პირთა გალერეიებსა და მუზეუმებში, ამიერიდან ყველასათვის მისაწვდომი ხდება".

პირველი გამოფენები ნაჩვენები იყო მხოლოდ ოთხ ქალაქში. მაგრამ შემდეგში „მოძრავმა გამოფენებმა" სულ უფრო და უფრო გააფართოეს თავისი მასშტაბი და წლითიწლობით სულ ახალ და ახალ ქალაქებში იხსნებოდა გამოფენები.

რუსი რეალისტი მხატვრების ამ უდიდეს საქმიანობას მხურვალედ გამოეხმაურა და მხარი დაუჭირა პ. ტრეტიაკოვმა, რომელიც პირველივე გამოფენებიდან შეუდგა „ამხანაგობის" საუკეთესო ნიმუშების შეძენას.

იმავე 70-იან წლებში ფართოდ გაიხსნა გალერეის კარები ყველასათვის, ვინც კი მოისურვებდა რუსი მხატვრების შედევრების ნახვას.

1874 წელს პ. ტრეტიაკოვმა შეიძინა ვ. ვ. ვერეშჩაგინის სურათების მთელი კოლექცია, რომელიც 144 სურათისა და ესკიზისაგან და 127 ნახატისაგან შედგებოდა. ამ სურათებში დაუზოგავად, გაბედულად, სრულიად ახლებურად იყო ნაჩვენები ომი,—ნაჩვენები ისეთნაირად, როგორიც არის სინამდვილეში, შეულამაზებლად.

პ. ტრეტიაკოვი მეგობრობდა „ამხანაგობის" სულისჩამდგმელს ი. ნ. კრამსკოის და ახლო იცნობდა მხატვრებს მაქსიმოვს, პეროვს, გორავსკის, გეს, რეპინს და სხვ. იგი ხშირად შეკვეთებს აძლევდა მათ. თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ტრეტიაკოვი რუსეთის დიდ მოღვაწეთა პორტრეტების შეგროვებას თვლიდა. ამ მიზანს მიაღწია მან და უხვად დააგროვა თავის გალერეაში შესანიშნავი პორტრეტები, შესრულებული საუკეთესო რუსი ოსტატების მიერ. ასე, მაგალითად, ტრეტიაკოვის შეკვეთით კრამსკოიმ შეასრულა რუსი მწერლების — გონჩაროვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ლევ ტოლსტოის, ნეკრასოვის, გრიგოროვიჩის და სხვების პორტრეტები; გალერეაში არის აგრეთვე რეპინის მიერ შესრულებული ლევ ტოლსტოის, პისემსკის, კომპოზიტორ მუსორგსკის, გამოჩენილი რუსი ქირურგის პიროგოვის პორტრეტები.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ტრეტიაკოვის მოღვაწეობა თანდათან ფართოვდება და მრავალმხრივი ხდება.

1881 წელს „ამხანაგობის" IX მოძრავ გამოფენაზე მან შეიძინა ვ. სურიკოვის „სტრელცების სიკვდილით დასჯის დილა" და 1883 წელს XI მოძრავ გამოფენაზე მისივე „მენშიკოვი ბერიოზოვოში".

1885 წელს XIII მოძრავ გამოფენაზე ტრეტიაკოვის მიერ 15 000 მანეთად იქნა შეძენილი ი. რეპინის შესანიშნავი სურათი „ივანე მრისხანე და მისი შვილი ივანე". მაგრამ ამ სურათის გამოტანა გალერეის დარბაზში ვერ მოხერხდა, რადგანაც ის აკრძალა მეფის მთავრობამ. ეს სურათი დიდ მხატვრულ-ისტორიულ მოვლენად გადაიქცა. „თამამად შეიძლება ითქვას, — წერდა კრამსკოი ი. რეპინის შესახებ,—რომ ევროპაში ასეთი მხატვარი არ არის, და, თუ ყველაფერს ვიტყვით რასაც ვფიქრობთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ასეთი მხატვარი არ არის და არც იქნება".

1889 წელს XVII მოძრავი გამოფენიდან ტრეტიაკოვის გალერეას შეემატა მ. ნესტეროვის „მეუდაბნოე", შემდეგ წელს კი იმავე მხატვრის სურათი „ყრმა ბართლომეს მოჩვენება".

1892 წელს პავლე ტრეტიაკოვს გარდაეცვალა ძმა — სერგეი მიხეილის ძე ტრეტიაკოვი. სერგეი ტრეტიაკოვს საკმაოდ ბლომად დარჩა სურათები. იმავე 1892 წელს პავლე ტრეტიაკოვმა როგორც საკუთარი, ისე ძმის სურათები საჩუქრად გადასცა მოსკოვის საქალაქო თვითმართველობას სამხატვრო მუზეუმის გასახსნელად.

გადაცემის დღისათვის გალერეა 22 ოთახისაგან შედგებოდა, რომლებშიც განლაგებული იყო 1840 მხატვრული ნაწარმოები, შეფასებული 1 428 929 მანეთად.

პავლე ტრეტიაკოვი კვლავ გატაცებით განაგრძობდა გალერეისათვის სურათების შეძენას. უკანასკნელად, სიკვდილის წინ, მან შეიძინა და გალერეას გადასცა ვ. მ. ვასნეცოვის „დევგმირები". ეს სურათი ვასნეცოვის შემოქმედებითი აყვავების მწვერვალს წარმოადგენს. მხატვარი ოცდახუთი წელიწადი დროგამოშვებით მუშაობდა ამ სურათზე და ის მისთვის მთელ მის შემოქმედებაში ყველაზე საყვარელი სურათი იყო. მასში მხატვარმა სრულად და ნათლად გადმოგვცა ხალხის წარმოდგენა თავის ძველ გმირებზე, რუსეთის მიწა-წყლის შეუდრეკელ მცველ-მფარველებზე.

პავლე მიხეილის ძე ტრეტიაკოვი — ეს არაჩვეულებრივი ადამიანი, შესანიშნავი რუსი პატრიოტი გარდაიცვალა 1898 წელს 4 (16) დეკემბერს.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1918 წლის 3 ივნისს, ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ტრეტიაკოვის გალერეის ნაციონალიზაციის შესახებ. გალერეა სახელმწიფოს, ხალხის საკუთრებად გამოცხადდა.

ამჟამად გალერეას 50-ზე მეტი დარბაზი უჭირავს და 35 ათასზე მეტ მხატვრულ ნაწარმოებს შეიცავს.

ტრეტიაკოვის გალერეის ძველი რუსეთის ხელოვნების განყოფილებაში დაცულია XI-XV საუკუნეების რუსეთის სამხატვრო კულტურის შესანიშნავი ძეგლები: სახელმოხვეჭილი ვლადიმერის ხატი, XV საუკუნის უდიდესი რუსი მხატვრის ანდრეი რუბლიოვის შემოქმედება და სხვ.

გალერეაში ბრწყინვალედ არის წარმოდგენილი აგრეთვე XVIII და XIX საუკუნის დასაწყისის მხატვრების — ნიკიტინის, ატროპოვის, როკოტოვის, ლევიცკის, ბოროვიკოვსკის, კიპრენსკის, ვენეციანოვის, ტროპინინის, ივანოვის, ფედოტოვისა და სხვათა შემოქმედება.

უფრო სრულად არის წარმოდგენილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მხატვართა შემოქმედება — კერძოდ, ვერეშჩაგინისა, ძმები მაკოვსკებისა, ძმები ვასნეცოვებისა, კორზუხინისა, შიშკინისა, პეროვისა, კრამსკოისა, რეპინისა, სურიკოვისა, სეროვისა, ლევიტანისა, გესი, იაროშენკოსი, სავიცკისა, პოლენოვისა, მაქსიმოვისა, პრიანიშნიკოვისა, სავრასოვისა, მიასოედოვისა და სხვ.

დიდი ადგილი აქვს დათმობილი გალერეაში სკულპტურას: აქ არის შუბინის, კოზლოვსკის, ანტოკოლსკის, ტრუბეცკოის, გოლუბკინის, ანდრეევის, მერკუროვის, მუხინასი და სხვათა მიერ შესრულებული ქანდაკებები.

საბჭოთა ხელოვნება გალერეაში წარმოდგენილია ბროდსკის, გერასიმოვის, იოგანსონის, გრაბარის, იუონის, ბაკშეევის, კუპრინის, ბოგაევსკის, ლასნერეს, რიაჟსკის, დეინეკას, კუკრინიკსების (კუპრიანოვის, კრილოვისა და სოკოლოვის ფსევდონიმია) და სხვ. ნაწარმოებებით.

ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა დიდ ყურადღებას უთმობს სამეცნიერო-კვლევით და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას. გალერეაში იმართება ხელოვნების სხვადასხვა ჟანრისადმი მიძღვნილი გამოფენები, საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამედროვე ხელოვნების გამოფენები (მაგალითად, 1937 წელს გაიმართა საქართველოს ხელოვნების გამოფენა), თემატური გამოფენები, ლექციები, მნახველთა და მხატვართა შეხვედრები. აქ მუშაობენ ათეულობით მეცნიერ მუშაკები, იწერება წიგნები, მეცნიერული კვლევები, მუშავდება სურათების რესტავრაციის ახალი მეთოდები. ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა, გარდა იმისა რომ მუზეუმია, ამავე დროს დიდი მნიშვნელობის სამეცნიერო დაწესებულებაცაა.

გასულ წელს გალერეა ინახულა 1 მილიონ 284 ათასმა კაცმა! ამდენი მნახველი ჯერ მსოფლიოს არც ერთ მუზეუმს არ მოსწრებია.

ინდუსტრიული პეიზაჟი →
მხატვარი კ. მახარაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტრეტიაკოვის გალერეის 60 წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ი. ე. რეპინი.**
**პ. მ. ტრეტიაკოვი თავის გალერეაში.**
1901.

ი. რეპინმა 1883 წელს დახატა პ. მ. ტრეტიაკოვის პორტრეტი ნატურიდან, 1901 წელს კი ამ პორტრეტის მიხედვით შესრულა სურათი „პ. მ. ტრეტიაკოვი თავის გალერეაში“. სურათში შესანიშნავადაა გადმოცემული პ. მ. ტრეტიაკოვის სახე — მაღალი შუბლი, ლამაზი ფართო წვერი, სადა ტანსაცმელი და, რაც მთავარია, ჩამწვმდომი, დაფიქრებული და ღრმა გულისყურით აღსავსე თვალები.



**ვ. ა. სეროვი.**
**კომპოზიტორი ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი.**
1898.

ვ. სეროვის შემოქმედებაში გაწსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსი ადამიანების ბრწყინვალე პორტრეტებს—მ. გორკისა, ანდრეევისა, მამონტოვისა, ერმოლლოვასი, ორლოვასი, ლესკოვისა, რეპინისა და სხვ.

მათ რიცხვშია დიდი რუსი კომპოზიტორის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის პორტრეტიც.

სეროვის პორტრეტები მსოფლიო პორტრეტული ხელოვნების შედევრებს მიეკუთვნებიან.



**ი. ი. ლევიტანი.**
**წვიმის შემდეგ.**
1889.

რუსეთის ბუნების უბადლო პოეტი, ინტიმური რუსული პეიზაჟის საუკეთესო ხელოვანი ი. ლევიტანი ცნობილი პეიზაჟისტების — სავრასოვისა და პოლენოვის მოწაფე იყო.

ლევიტანის სურათი „წვიმის შემდეგ“ ეკუთვნის ვოლგის სურათების სერიას. ამ სურათის გამოქვეყნების შემდეგ ლევიტანი დამსახურებულად იქნა აღიარებული პირველ რუს პეიზაჟისტად. ამ დროიდან რუსულ მხატვრობას, და მასთან ერთად ტრეტიაკოვის გალერეას წლითიწლობით ემატებოდა ლევიტანის სულ ახალი და ახალი შესანიშნავი სურათები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვ. მ. ვასნეცოვი.
### დევგმირები.
1898.

ვასნეცოვმა თავის შემოქმედებაში ასახა რუსი ხალხის გმირული წარსული, მისი სწორუპოვარი ზღაპრული სილამაზე და დევგმირული ძლიერება.

ვასნეცოვის საუკეთესო სურათად მისი „დევგმირები“ ითვლება.

„დევგმირები — დობრინია ნიკიტიჩი, ილია მურომეცი და ალიოშა პოპოვიჩი გამოსულან ველ - მინდვრად დასაზვერავად: ხომ არსად ჩანს მტერი, ვისმეს ხომ არსად ჩაგრავენო,“ — ასე განსაზღვრა მხატვარმა თავისი სურათის შინაარსი. ყორღანებისა და ღრუბლების ფონზე დგას სამი მხედარი. დობრინია ნიკიტიჩს ნახევრად ამოუწევია ხმალი ქარქაშიდან. ილია მურომეცს მზისაგან სახე მოუჩრდილავს ხელით, რომ უკეთ შეავლოს თვალი უსაზღვრო მიდამოებს; მის უნაგირზე უზარმაზარი შუბია გადადებული. ალიოშა პოპოვიჩი მოდუნებული ზის ცხენზე, ოცნებას გაუტაცნია მთელი მისი არსება, მაგრამ მშვილდისარი მტკიცედ უჭირავს ხელში. დიდებულია მხედრებისა და ცხენების სილუეტები, ნაირფეროვანია მათი სამოსელი და საჭურველი. მშვიდი, აღუშფოთველი ვაჟკაცობა რუსეთის მიწაწყლის ფხიზელი დევგმირი გუშაგებისა გასაოცარი ოსტატობით არის ხორცშესხმული ვასნეცოვის ამ სურათში.



### ა. კ. სავრასოვი.
### ჭილყვავები მოფრინდნენ.
1871.

რუსულ ხელოვნებაში რეალისტური პეიზაჟის ერთ-ერთი ფუძემდებლის ა. სავრასოვის პეიზაჟები მდიდარია რუსეთის ბუნების ტიპიური მოტივებით, იმ ბუნებისა, რომელიც ასე უებროდ აგვიწერეს თავის ნაწარმოებებში ტურგენევმა და ლევ ტოლსტოიმ.

სავრასოვის მშვენიერ პეიზაჟებში გამოირჩევა საყოველთაოდ ცნობილი სურათი „ჭილყვავები მოფრინდნენ“. ამ სურათში დიდი სიმართლით და უშუალობით არის გადმოცემული შუა რუსეთის ბუნებისთვის დამახასიათებელი თოვლის დნობა გაზაფხულის პირზე.

### ვ. ი. სურიკოვი.
### ბოიარინია მოროზოვა.
1887.

სურიკოვი, რომლის სახელი რეპინის სახელთან ერთად ამხანაგმა სტალინმა სხვა დიდ რუს ადამიანთა სახელებს შორის ახსენა 1941 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში, ისტორიული სიუჟეტის უდიდესი ხელოვანია. მხატვარს თითქოს საკუთარი თვალით უნახავსო ყველაფერი ის, რაც ტილოზე გამოუსახავს. ასეთია „ბოიარინია მოროზოვა“, რომელიც სამართლიანად ითვლება სურიკოვის ყველაზე დიდებულ ნაწარმოებად.

სურათის ცენტრალური ფიგურა სექტანტების შეურყეველი დამცველი ბოიარინია მოროზოვა ნაჩვენებია იმ მომენტში, როცა იგი მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის ბრძანებით მონასტერში დასამწყვდევად მიჰყავთ. შავ სამოსელში გამოწყობილი მოროზოვა მკვეთრად გამოირჩევა თეთრი თოვლისა და ხალხის ფერად-ფერადი ტანსაცმლის ფონზე, იგი ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან, ორი თითი მაღლა აუშვერია—ასე გადაისახეთ პირჯვარიო, მორჩილი ბრბო კი ირგვლივ სულგაკმენდილი შესცქერის მას. ხალხის ფართო მასის გრძნობები და განცდები შეუდარებელი ოსტატობითაა გადმოცემული სურათში.





თის სარწყავი სისტემის მთავარი ნაგებობა

ფერადი ფოტო მ. მიხაილოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი მატიანე

მოთხრობა

## ბექან ბარდაველიძე

მხატვარი ჯ. ლეჟავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხვად შემოჭრილი მზის სხივები იასამნის ფერით ავსებს ოთახს. ფანჯრიდან მოჩანს მზრუნველი ხელით ნაკეთები კოხტა ბაღი. მეორე ფანჯარა, თითქმის ყოველთვის მძიმე ფარდით დახშული, ქუჩას გადასცქერის. ოთახში ყველაფერს ძველთაგანვე მიჩენილი, მტკიცედ განსაზღვრული ადგილი აქვს: ერთ კედელთან დივანი დგას, მოპირდაპირე კედელთან ერთმანეთზე შედგმული ორი კარადა, წიგნებით სავსე. ნათელ ფანჯარასთან დიდი ბიუროა მიდგმული. ბიუროზე ძველებური სამელნე, სქელი წიგნები, გლობუსი, პრესპაპიე და ნიჟარის საფერფლე აწყვია. პატარა, მრგვალ მაგიდაზე ლურჯი „ვეფხისტყაოსანი“ დევს. კედელზე ძველი და ახალი ფოტოგრაფიებია — მოღუშული მამაკაცები და კავებიანი მანდილოსნები ერთ კუთხეში მილაგებულან, ქილვაშებიანი მოხუცის მეთაურობით; უფრო ახლები — მაგიდასთან, სქელი წიგნებისა და გლობუსის თავზე.

დამსახურებული მასწავლებელი ელიზბარ ხანდარელი ზის ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში, მუყაოსყდიან სქელ წიგნს ჩასცქერის და ფანქრებივით გრძელი, მთრთოლვარე თითებით ნება-ნება ფურცლავს გაყვითლებულ ფოლიანტებს. სათვალეებს იქით ხან აენთება, ხან კი უცნაურად ჩაენისლება თეთრი წარბების ტევრში შეფარებული თხილის გულივით თვალები. ბაბუაწვერასავით თხელ თმებს ფანჯრიდან შემოქროლილი ნიავი უთამაშებს.

ეს წიგნი ხანდარელების წმიდათაწმიდაა, მათი ოჯახის მატიანე. მასში ელიზბარ ხანდარელის მამას ასზე მეტი წლის წინათ ჩაუწერია პირველი სტრიქონი.

და იწყება ოჯახის მატიანე ასე:

„ხანდარელი სოლომონ ივანეს-ძე — დაბადებული წელსა 1839... მდგომარეობით: გიმნაზიის მასწავლებელი“ შემდეგ სხვა ხელით: „გარდაიცვალა 1907 წელს, იანვარში.

შემდეგ:

„ხანდარელი ნოშრევან ივანეს-ძე, ძმაი ჩუენი, დაბადებული წელსა 1852; მდგომარეობით: სოფლის მასწავლებელი. გარდაიცვალა 1890-ს

შემდეგ:

„ხანდარელი ელიზბარ სოლომონის-ძე, შვილი ჩუენი, დაბადებული წელსა 1873; მდგომარეობით: მასწავლებელი...“

ელიზბარ ხანდარელმა ჭაღარა თავი სავარძლის ზურგს მიაყრდნო და თვალები დახუჭა. მახსოვრობაში აღდგნენ მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი ხანდარელები... აი, ქალაქის ბაღი გადასჭრა ქილვაშებიანმა სოლომონ ხანდარელმა. მოქალაქეები მოკრძალებით უთმობენ გზას მხცოვან მასწავლებელს, მოსეირნე გიმნაზიელები კი მორცხვად ეფარებიან ასწლოვან ჭადრებს... აი ხვლებით შემოაღო ეზოს ჭიშკარი ავადმყოფმა დევკაცმა ნოშრევან ხანდარელმა, შემოგებებულ ძმიშვილებს წითელი ვაშლები დაურიგა და მერე ბუხართან დამჯდარნი დიდხანს საუბრობენ ძმები—ნოშრევან და სოლომონ—სოფლის დუხჭირ ცხოვრებაზე. კუთხეში განაბულ ელიზბარს ესმის გაუგებარი სიტყვები „ერობა“ თუ „ერთობა“, „ხალხოსნები“, და უკვირს: რატომ აქვს ბიძია ნოშრევანს ყვითელი სახე და ჩალურჯებული თვალები, როცა მის ბაღში ასეთი წითელი ვაშლები ხარობს...

იფურცლება ქამთასვლისაგან გაყვითლებული ფოლიანტები...

იცვლება წლები, იცვლებიან ადამიანები, იცვლება ხელი, ზოგი სინგურით, ზოგი უბრალო მელნით სუფთად ნაწერი, არ იცვლება ხანდარელების საყვარელი პროფესია: სვეტში, სადაც ისინი ჩვეულებრივ სწერენ — მდგომარეობით, უცვლელი რჩება — მასწავლებელი.

„შვილი პეტრე... მასწავლებელი. საშუალო სკოლის დირექტორი. შემდეგში: საბჭოთა არმიის ოფიცერი. დაიღუპა დიდი სამამულო ომის ფრონტზე“.

„შვილი თეიმურაზ... მასწავლებელი...“

„რძალი ტასო, პეტრეს მეუღლე... მასწავლებელი...“

„შვილიშვილი ნინო პეტრეს-ასული... დაწყებითი სკოლის მასწავლებელი...“

მოხუცმა დაღლილ თვალებზე ხელი მოისვა. შემდეგ წიგნი წითელი ლენტით დანიშნა, დაკეცა და მაგიდაზე დადო. ფანჯარასთან მივიდა. აგურით მოწინწკლული ბაღი ნაირფერად ბრწყინავდა მზის სხივებში. საქმიანად დაფუსფუსებდნენ ჩიტუნები... გული გაეხსნა: ყოველი ყვავილი მისი ხელით ნაფერებია, ყოველი ხე მისი დარგულია... ძარღვებში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. უცნაურად მოენატრა სკოლა, ისტორიის გაკვეთილი და ოცდაათამდე პატარა ადამიანი, რომელიც გაფაციცებით იჭერს მის ყოველ სიტყვას, ყოველ მოძრაობას. „ოჰ, ეს არდადეგები... ნეტავ მალე დამთავრდეს“, გაიფიქრა მოხუცმა. ქუდი დაიხურა და ყავარჯენი აიღო. სასტუმრო ოთახში რძალი ტასო და შვილიშვილი ნინიკო ხელსაქმეს უსხდნენ. მოხუცმა მოკლედ დაიბარა, მალე დავბრუნდებიო, ალმაცერად გადახედა ჭადრაკის დაფასთან მიმჯდარ უმცროს შვილიშვილებს — გიას და კოტეს, და ქუჩაში გავიდა.

მოხუცი ხანდარელი ჩვეულებრივ სასეირნოდ გაემართა.

დინჯად მიჰყვება მოხუცი ხანდარელი მყუდრო სანაპირო ქუჩას. ელიზბარს უყვარს მაღალი აკაციებისა და ბუმბერაზი ჭადრების ჩრდილში ნელი ნაბიჯით სიარული და ოცნება...

ხელმარცხნივ ხმაურით მიახათქუნებს ტალღებს ქაფმორეული რიონი. რიყეზე ბავშვები თამაშობენ. ხანდახან რომელიმე ცელქი კლდეზე აცოცდება, ონავრულად დაიკივლებს და თავდაღმა გადაეშვება მდინარეში... გასცქერის მოხუცი ტიტლიკანა ბიჭებს და იღიმება. მოენატრა ელიზბარს თავისი ფეხშიშველა ბავშვობა, რიკტაფელა და გაბედული მხარული რიონის ტალღებში.

უეცრად საშინელმა ხმაურმა გამოარკვია. მოხუცი შემობრუნდა და როგორც იქნა გაარჩია რადიატორიდან ადენილ ორთქლში გახვეული, ძველთაძველი სატვირთო მანქანა, დაჭყლეტილი რკინის ძარა მძიმედ ხტოდა და რაღაც საოცარი ძალით რჩებოდა თავის ადგილზე. უფანჯრო კაბინაში მჯდარმა ჯმუხა სახის ახალგაზრდამ ხრინწიანი ხმით მიაძახა მოხუცს:

— გზა, გზა...

„აი, ქაჯები“... ჩაიბუზღუნა მოხუცმა, განზე გადგა და სასწრაფოდ სათვალე გაიკეთა. ელიზბარმა თვალი მოკრა ჯმუხა ახალგაზრდის გვერდით საჭეზე მკერდით დახრილ მძღოლს და სახტად დარჩა... მძღოლი თავისი შუათანა შვილიშვილი გელა ხანდარელი იყო.

— გელა...

უნებურად წამოიძახა ელიზბარმა და მუქარით მოიქნია ყავარჯენი. ყავარჯენი მანქანის ძარას ასცდა და მოხუცის ფეხებთან ქვაფენილი ოდნავ გაფხაჭნა. მანქანა უკვე მოსახვევს მიეფარა.

უცნაურად ჩამუქდა მწვანე ქალაქი. ბინდბუნდი შეერია რიონის ჭალაკებს. შორს ვეფხვივით გაწოლილა აჭარა-გურიის ქედი და თავი მზის ჩასავალთან მიუდვია.

ჩამავალი მზე უკანასკნელ წუთებს ითვლიდა...

შორს გუნდად აენთო ელექტრონის მძაფრი სინათლე.

იქ ქუთათურთა სიამაყე — ავტოქარხანა შენდება.

* * *

მოხუცი ხანდარელი აქეთ-იქით აწყდება თავის ოთახში და აღელვებისაგან აცახცახებული ხმით უყვირის მის წინაშე მდგარ შვილიშვილს გელა ხანდარელს.

— შენ... როდის აქეთ დაიწყე ურჩობა? შენ... შენს ნებაზე გინდა იარო, არა?

— ბაბუა...

— ჩუმად! შენ გნებავს ჩაიდინო ისეთი საქმე, არც ერთ ხანდარელს აზრადაც რომ არ გაუვლია, არა? მე, ელიზბარ ხანდარელი, არ მოგცემ მაგის ნებას! მე...

აღელვებული მოხუცი შვილიშვილს ცხვირწინ უტრიალებს სათვალეს, რომელიც ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებზე თვალისმომჭრელ სხივებს ისვრის, თითქოს სურს ელვის ისრებით გააპოსო ჯიუტი ჭაბუკი.

— ბაბუ...

— ჩუმად!

— ტყუილად ღელავთ, ბაბუ... ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა. — წარმოთქვა გელამ, — და ახლა თვითონ აღელდა.

მოხუცი ხანდარელი ერთბაშად მოეშვა. შვილიშვილს ზურგი შეაქცია და ფართოდ გააღო ქუჩის ფანჯარა. ჭაბუკს თვალში მოხვდა მოხუცის ჩავარდნილი კისერი, და მოხრილი ზურგი. მას შეეცოდა ბაბუა.

— ბაბუ, — უფრო რბილად განაგრძო მან, — თქვენ ხომ ყოველთვის მასწავლით, ჩვენში არც ერთი პროფესია სათაკილო არ არისო... ბოლოს და ბოლოს შოფრობა რით არის მასწავლებლობაზე ცუდი?

„ო, რა მშვიდად ლაპარაკობს, — გაიფიქრა მოხუცმა, — სულ იმ ნინიკოს ინჟინრის ბრალია... სულ მერაბის ბრალია!“ — და მან უეცრად იფეთქა:

— მაშ, არ გინდა შინაურებს დაუჯერო?! გინდა სულ შენი გაიტანო, არა? შენ გინდა...

— ბაბუ, როგორც ჩანს თქვენთან ლაპარაკი არ შეიძლება, — უკმაყოფილოდ თქვა გელამ და კარებისაკენ გაიწია.

მოხუცმა გადახედა თავის ასაკთან შედარებით საოცრად დავაჟკაცებულ შვილიშვილს. მათი თვალები უცებ შეხვდნენ ერთმანეთს და ელიზბარ ხანდარელმა იგრძნო: შვილიშვილს ვერაფერს გადაათქმევინებდა.

— დაიცა — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მან. — ბიჭო, მამაშენის ხსოვნას რას ეუბნები? სწავლაზე სულ აიცრუე გული. სახლი ლამის რკინეულობის საწყობად გადააქციე: სულ რაღაცას ჩხირკედელაობ. ახლა კიდევ ეს შოფრობა... ხალხი რას იტყვის, გელა, მოხუცმა ხანდარელმა შვილიშვილს ვერ ასწავლაო.

— ვინ რა უნდა თქვას, ბაბუ—მიუგო გელამ—შოფრობა სწავლა არ არის თუ?

— გელა, დაფიქრდი...

— ხომ გითხარით, ბაბუ, საბოლოოდ გადავწყვიტე.

იმედგადაწყვეტილმა მოხუცმა უკანასკნელ ხერხს მიმართა. განჯინიდან მინიატურული ოქროს საათი ამოიღო.

— ამ საათს სკოლის დამთავრებამდე მიიღებ, თუ...

გელამ სინანულით შეავლო თვალი ნანატრ ნივთს და უარის ნიშნად თავი გაიქნია. მოხუცმა ხანდარელმა წონასწორობა დაკარგა...

— ჩუმად! მე, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ... არ მოგცემ ურჩობის ნებას. არ გატარებ შენს ჭკუაზე...

კარები ოდნავ გაიღო და ერთიმეორის ზევით ორი კოხტად დავარცხნილი პატარა თავი გამოჩნდა.



— ბაბუ, ვინ გაგაჯავრათ?

— შემოვიდეთ, ბაბუ?

— აჰა! — მრისხანედ შეჰყვირა მოხუცმა, — იქნებ... იქნებ თქვენც შოფრობა გნებავთ? დამეკარგეთ აქედან!

გიამ და კოტემ გაოცებით ახედ-დახედეს ერთმანეთს და სასწრაფოდ გაქრნენ.

გელამ კარების სახელურს მოკიდა ხელი.

— სწავლის მიტოვებას კი სრულებითაც არ ვაპირებ. საღამოს სკოლაში უკვე შევიტანე საბუთები.

კარები გაიხურა. მოხუცს სიტყვები პირში შეაშრა. მან გაიგონა, როგორ გაიღო სასტუმრო ოთახის კარები და შემდეგ მტკიცე ნაბიჯების ხმა აივანზე გაისმა.

კარებთან შეშფოთებით ალაპარაკდნენ.

— ღმერთო ჩემო, მოხუცი უკიდურესობამდე მივიდა... ნინიკო, დაედევნე გელას, უთხარი რამე, იქნებ როგორმე დააბრუნო.

მოხუცს ავადმყოფურად დაემანჭა სახე. მან მკერდზე ხელი იტაცა და ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. ელიზბარმა დაინახა, ბაღის კუთხეში მიშენებულ პატარა ფარდულიდან, როგორ გამოაგორა გელამ ველოსიპედი. „ჯერ ველოსიპედი, შემდეგ ავტო“ და მოხუცმა ხანდარელმა პირველად ინანა, რომ შვილიშვილს ეგ საეშმაკო უყიდა.

„ინჟინერს კი მაინც არ შევარჩენ!“

უცბად გაბრაზდა და ბაღში გავიდა. ჯერ კიდევ ცვარშეუმშრალი იასამნის ბუჩქები მძიმედ ირხეოდნენ.

— გია! კოტე!

— მოვდივართ, ბაბუ... რა გნებავთ, ბაბუ?

პატარებმა მკვირცხლად მიირბინეს მოხუცთან.

— ამ იასამანს ტოტი ვინ მიატეხა?

— არ ვიცი, ბაბუ... — მოიღუშა ათიოდე წლის კოტე.

— ჩვენ არ დაგვინახავს, ბაბუ... — შეშფოთებით მიუგო ოდნავ უფროსმა გიამ. — ქარმა თუ მოამტვრია.

— არ იცით, არა? მაშ კარგი, წადით...

პატარები მხიარულად გაიქცნენ და მალე სახლის უკან გაისმა მათი ყიჟინა.

— ნინიკო!

— ახლავე...

აივანზე ნინიკო გადმოდგა.

— ვინ მოტეხა ტოტი ამ იასამანს?

ნინიკომ იასამნის ბუჩქს გახედა და დაბნეულად მიუგო:

— არ ვიცი, ბაბუ...

მოხუცმა მკაცრად ახედა, ჩაახველა და მოსჭრა:

— ის შენი მერაბი მეორედ არ დავინახო აქ!

— კი მაგრამ, ბაბუ, მერაბი ხომ მაგას არ იზამდა...

— რომ გითხარი, ის გაიგონე! იმ შენი ინჟინრის ფეხი არ დავინახო ჩემს ოჯახში.

— ბაბუ...

მოხუცი ფარდულისაკენ გაემართა. ალბათ, თავისი სარწყავი უნდა გამოიტანოს... ნინიკომ მხრები აიჩეჩა და სახლში შევიდა.

მოხუცმა კიდევ დიდხანს იბუზღუნა ბაღში, შემდეგ თავის ოთახში შევიდა და დივანზე წამოწვა. ერთხანს ასე იწვა გარინდებული...

ელიზბარ ხანდარელმა მაგიდიდან ოჯახის მატიანე აიღო. ნელა გადაფურცლა და იქ, სადაც გელა ხანდარელის გვერდით, სვეტში, ტირე იყო გასმული, წითელი ფანქრით მსხვილი კითხვის ნიშანი დასვა... ცოტაც დაფიქრდა და ასეთივე კითხვის ნიშნები მიიღეს ძმებმა გიორგი და კონსტანტინე ხანდარელებმა.

* * *

ინჟინერი მერაბ იმედაძე ამ ერთი წლის წინათ ამხანაგის დღეობაზე გაიცნო ნინო ხანდარელმა. მას ერთბაშად მოეწონა მხიარული, ტანმაღალი და კოხტად ჩაცმული ვაჟკაცი. ინჟინერმაც მოუხშირა ლამაზ მასწავლებელთან შეხვედრას და მალე მერაბ იმედაძე ხანდარელების ოჯახის სასურველი სტუმარი გახდა. მოხუც ელიზბარს მოსწონდა ენაწყლიან ინჟინერთან საერთაშორისო თემებზე კამათი, დედა ტასო მოხიბლული დარჩა „სერიოზული ახალგაზრდით“, პატარა ხანდარელები კი პირდაპირ აღმერთებდნენ ალერსიან და გულუხვ სტუმარს. პირველ ხანებში მხოლოდ გელა შესცქეროდა ალმაცერად დის მეგობარს. „აეკიდა გოგოს“ — გულმოსული ფიქრობდა იგი, მაგრამ მალე სპორტის მოყვარულმა ინჟინერმა ისე მოიგო გელას გული, რომ იგი სიამოვნებით დათანხმდა ნინიკოსთან ერთად ექსკურსიაზე წასულიყო იმედაძის საამქროში, ავტოქარხნის მშენებლობაზე. ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ გელამ მოსვენება დაკარგა... გელასა და ინჟინერს შორის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა, როდესაც მერაბმა მას გაანდო, რომ სანამ ინსტიტუტს დაამთავრებდა, შოფრად მუშაობდა, თურმე, რაჭა-სვანეთის გზაზე. გელამ მოუხშირა ქარხნის მშენებლობაზე სიარულს... ეს შინაურებმა გელას მორიგ გატაცებად ჩათვალეს, მაგრამ „იმ დღეს“ შემდეგ ყველაფერი ცხადი გახდა და გამწყრალმა ელიზბარ ხანდარელმა ინჟინერი იმედაძე ოჯახიდან გარისხა. მერაბმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან აგერ რამდენიმე დღეა იგი ხანდარელებისას რატომღაც არ გამოჩენილა.

დედა და ქალიშვილი შეშფოთებით მოელოდნენ აუცილებელ შეხვედრას მოხუცსა და მერაბს შორის...

ერთ დღეს ჭიშკარი გაიღო და აივანზე ინჟინერი იმედაძე შემოიმართა. მან მიგებებულ ტასოს ხელზე აკოცა, ნინიკოს მიესალმა. გახარებულ პატარებს დიდის ამბით მიესალმა.

ტასო სტუმარს შეეკითხა:

— სად იყავით ამდენ ხანს, მერაბ, რატომ არ ჩანდით?

— მივლინებაში გამიშვეს უეცრად, — მიუგო მან და ნინიკოს გადახედა, ქალიშვილის თვალებში უტყვი საყვედური ამოიკითხა, — გამოვლის დროც აღარ დამრჩა...

მერაბმა მოხუცის კაბინეტისაკენ გაიხედა, ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა, რომ ელიზბარი ჩვეულებისამებრ არ გამოეგება.

— ბიძია ელიზბარი ხომ კარგად ბრძანდება? — იკითხა მან.

დედა-შვილმა ერთმანეთს გადახედეს.

— მოხუცი ცოტა შეუძლოდაა, — უხერხულად უპასუხა ტასომ.

მერაბმა გაოცებით გადახედა შემცბარ ქალებს და არაფერი სთქვა.

საუბარი რაღაც ვერ მოება — ტასომ ბოდიში მოიხადა და სამზარეულოში გავიდა, ხოლო ახალგაზრდები ბაღში ჩავიდნენ; ელიზბარ ხანდარელი სასხლავი მაკრატლით ხელში გულმოდგინედ კრეჭდა დაფნის მრგვალ ბუჩქს

— ბიძია ელიზბარს გაუმარჯოს! — შესძახა მერაბმა. მოხუცს მერაბის სალამი თითქოს არ გაუგონია.

— ძალიან გაბრაზებულია შენზე, — წაუჩურჩულა ნინიკომ გაოცებულ ვაჟს, — ამას წინათ გელა საშოფრო კურსებზე მოეწყო. ბაბუა ყველაფერს შენ გაბრალებს.

„აი, თურმე რაში ყოფილა საქმე“ გაიფიქრა მერაბმა და უცბად გამხიარულდა.

— ბიძია ელიზბარ, რა მშვენიერი ბაღი გააშენეთ!.. — განგებ გატაცებით დაიწყო მან, — ნამდვილი მებაღე ხართ. უჰ, ეს იასამანიც უკვე გაშლილა! ერთმა შოფერმა, თურმე, რუსეთში შესანიშნავი იასამნის ჯიში გამოიყვანა, — განაგრძობდა მერაბი. — შედიხარ, თურმე, ბაღში და უცბად გგონია ნისლში გავეხვიეო, ისეთი ხშირი ყოფილა ის იასამანი...

მოხუცმა შეაჩერა მაკრატლის ტკაცუნი...

— ბიძია ელიზბარ, — მიუახლოვდა მერაბი — სახლშიც ყვავილები, სკოლაშიც ყვავილები... ბავშვები ხომ იგივე ყვავილებია? როგორ ამბობს, ნინიკო, ერთი პოეტი? „ბავშვი, ცხოვრების ნაზი ყვავილი“... რაღაც ამგვარი. სულ დამავიწყდა ლექსები... ერთი სიტყვით, ბიძია ელიზბარ, ორგზის მებაღე ხართ, არა?

ახალგაზრდებმა უდარდელად გაიცინეს. მოხუცმაც ძლივს შეიკავა ღიმილი და უფრო მკაცრად შეიკრა წარბი.

— ჰო, მართლა, — ისევ მიუბრუნდა მერაბი მოხუცს, — იმ იასამნის ჯიშს, თუ გნებავთ, გიშოვნით, ის შოფერი ჩემი კარგი ნაცნობია. მივწერ: ძმაო ვასია, გთხოვ, შენი იასამნის ჯიში გამომიგზავნე, აქ ერთი შესანიშნავი ბაღისთვის გვჭირდება-მეთქი... ნუ გამაწბილებ, როგორც ძველ ამხანაგს და კოლეგას-მეთქი... დარწმუნებული ვარ ვასია პატივს სცემს ძველ შოფერს.

მერაბმა ცალი თვალით გადახედა მოხუცს. მართლაც ელიზბარმა ველარ მოითმინა.

— თქვენ რა. შოფრად მუშაობდით თუ?

— ჰმ...— ჩაიცინა ინჟინერმა. — ქუთაისიდან მოყოლებული რაჭა-სვანეთის გზაზე ქვაც კი არ აგდია მე და ჩემს „ზის“-ს რომ არ გვიცნობდეს.

მოხუცმა ხანდარელმა თავი ასწია და მთელი საუბრის განმავლობაში პირველად შეხედა მერაბს თვალებში. მას პირდაპირ შესცქეროდა ორი მხიარული, ცისფერი თვალი, რომელიც რაღაც თბილ, მშობლიურ გამომეტყველებას აძლევდა ვაჟკაცურ სახეს.

— მაშ თქვენ ურჩიეთ გელას შოფრობა?

მოხუცმა სადღაც ინჟინრის მხრებს იქით გაიხედა.

— სრულიადაც არა, ბიძია ელიზბარ... გელა უკვე ბავშვი აღარ არის, რომ სხვის ჭკუაზე იაროს.

— თქვენ მოგწონთ, როდესაც მასწავლებელი ხანდარელის შვილი შოფრობას იწყებს?

ნინიკო შეშფოთებული ელოდა, თუ რით დამთავრდებოდა ეს საუბარი.

— ბიძია ელიზბარ, ვერაფერს ცუდს ამაში ვერ ვხედავ, — გულწრფელად მიუგო მერაბმა. — პირიქით... შოფრის პროფესია შესანიშნავ თვისებებს ავითარებს ადამიანში.

— როგორც, მაგალითად, თქვენში, — ჩაიბუზღუნა მოხუცმა.

აივანზე ტასო გადმოდგა და ყველანი სადილად მიიწვია.

„გიცნობ რა ვაჟბატონიც ხარ“, ფიქრობდა მოხუცი და ხანდახან გახედავდა სუფრასთან შინაურულად მჯდარ მხიარულ სტუმარს.

„საერთაშორისო ვითარებაზე წასაუბრება კი მაგასთან მაინც შეიძლება!“

ნასადილევს მოხუცი თავის კაბინეტში გავიდა. დივანზე წამოწვა და ჩაფიქრდა.

— ნინიკო! — გასძახა მან.

ოთახში ნინიკო შემოვიდა.

— ისა... შენი ინჟინერი ისევ აქ არის?

— მერაბი ჯერ არ წასულა, ბაბუ.

— ჰმ... შენ... მე რომ გეუბნებოდი ამას წინათ, ხომ არ გითქვამს მისთვის?

— რა უნდა მეთქვა, ბაბუ? — ოდნავ გაიღიმა ნინიკომ — რაღაც არ მაგონდება.

— რა და, ის რომ ჩემს ოჯახში არ მოსულიყო და რაღაც ამგვარები... — გაჯავრდა მოხუცი.

— დიახ, მართლა... — სასწრაფოდ წარმოთქვა ნინიკომ, — არა, ბაბუ, ჯერ არაფერი მითქვამს.

— და არც არის საჭირო... ახლა წადი და მერაბს სთხოვე.

ნინიკო გავიდა და მალე იმედაძე ელიზბარის ოთახში შევიდა.

* * *

ბაბუა და შვილიშვილს შორის განხეთქილება დიდხანს არ შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ შინაურები. არდადეგები დამთავრდა და ელიზბარ ხანდარელი, ჩვეულებრივ, დღის ნახევარს სკოლაში ატარებდა, შემდეგ თავის წიგნებს უჯდა ან ბაღში დაფუსფუსებდა სასხლავით ხელში.

ერთი კი მაინც შეამჩნიეს შინაურებმა: ელიზბარი, როგორც კი შემთხვევას იხელთებდა, დაწვრილებით ეკითხებოდა მერაბს ავტოქარხნის ამბებს. განსაკუთრებით აინტერესებდა ქართული ავტოს კონსტრუქცია. და მოხუცი ხანდარელი ხშირად ამჟღავნებდა თავის ცოდნას, როდესაც სამასწავლებლოში ამ საგანზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. იგი დინჯად ჩაახველებდა და მასწავლებლებს გადახედავდა.

— თქვენ იცით, რა მუშაობა მიდის ჩვენს საავტომობილო ქარხანაში? აგერ ორი წელია, საკონსტრუქტორო განყოფილება მოსკოვის ავტოს „ზის—150“ სწავლობს. ჩვენი ინჟინრები ცდილობენ, რაც შეიძლება გააუმჯობესონ ის და კავკასიის მთაგორიანი ადგილებისათვის მოსახერხებელი გახადონ... ჩვენებმა უკვე ოთხმოცამდე ცვლილება შეიტანეს მოსკოვის ავტოს კონსტრუქციაში.

მასწავლებლები მოწონებით იქნევდნენ თავს.

* * *

მერაბი, როგორც კი დროს იშოვნიდა, ავტობაზაში შეირბენდა ხოლმე, სადაც გელა ხანდარელი პრაქტიკულად ეუფლებოდა მანქანას.

ახლაც, მერაბმა დიდ რკინის ჭიშკართან მდგარ დარაჯს საშვი უჩვენა და ავტობაზის ეზოში შევიდა. გამურულმა, ცქვიტმა შოფრის თანაშემწემ სასწრაფოდ გამოუძახა გელას. უმცროსმა ხანდარელმა შორიდანვე დაანახა მეგობარს პატარა წიგნაკი:

— აბა, თუ მიხვდები რა არის. .

— ბიჭოს, შოფრის მოწმობა! — შესძახა მერაბმა და მხურვალედ მიულოცა ჭაბუკს.

სახეგაბრწყინებულმა გელამ უამბო, თუ როგორ ჩააბარა გამოცდა, რა უთხრეს კომისიის წევრებმა...

მერაბმა მხარზე ხელი დაჰკრა მეგობარს

— ყოჩაღ! ახლა უკვე ნამდვილი შოფერი ხარ.

ამ დროს რკინის ჭიშკარი გაიღო და ხმაურით ჩამოდგა ძველი მანქანა. კაბინიდან გამტვერილი, დაღლილი შოფერი გადმოვიდა.

მძიმედ მიუახლოვდა იმედაძეს და განგებ მკაცრად მიმართა:

— ამხანაგო ინჟინერო, მალე გამოუშვებთ თუ არა ახალ მანქანებს?!

მერაბმა გაუღიმა ძველ ნაცნობს და მხიარულად შეაგება:

— არა უშავს, ცოტაც გაუძელი და მალე იქნება!

* * *

ელიზბარ ხანდარელი დილაადრიან დგება. მსუბუქი საუზმის შემდეგ ქუდს დაიხურავს, ხელში ძვლისთავიან ჯოხს დაიჭერს და მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი ჭაღარა მოხუცი დინჯად მიჰყვება სკოლისაკენ მიმავალ გზას.

აი, მოსახვევიდან გამოცუნცულდა თავისი დიდი, გაცვეთილი პორტფელით მკვირცხლი და მოუსვენარი ბუხჰალტერი სილიბისტრო მაღრაძე. მოხუცები დიდის ამბით მიესალმენ ერთმანეთს და გზა ერთად განაგრძეს.

პატარა ტანის ბუხჰალტერი, მაღალი მასწავლებლის გვერდით ნაზამთრალი ქონდარივით მოჩანს.

— ბატონო ელიზბარ, ახალი ამბავი იცი?

— რაზე მეკითხები, ჩემო სილიბისტრო?

— ამბობენ, მომავალ ზაფხულს ჩვენი ავტოქარხანა პირველ ავტოს გამოუშვებსო...

— ჰოო, — დინჯად გააგრძელა ელიზბარმა. — კი, მეც გავიგე.

სილიბისტროს ცოტა არ იყოს ეწყინა, რომ მის გარდა სხვასაც ცოდნია ეს.

— საიდან, კაცო? — ეჭვიანად ახედა სილიბისტრომ თანამგზავრს.

— თვითონ იქაურმა ინჟინერმა მითხრა, მერაბ იმედაძემ... გუშინ კიდევ გელამ მოიტანა ამბავი.

— რომელმა იმედაძემ, კაცო?... ჰო, შენი სასიძ... მეგობარია მგონი შენი.

ელიზბარმა დახედა გამომცდელად მოღიმარ ბუხჰალტერს და წარმოთქვა:

— სასიძოა ჩემი... შენ ვიღამ გითხრა, ჩემო სილიბისტრო?

— რავა ვინ მითხრა, შე კაცო... — შეხტა სილიბისტრო, ჩემი ვახტანგიც იქ არ მუშაობს? კაცი მექანიკური საამქროს ოსტატია და ეგ არ ეცოდინება?



— ჰო, აბა ნამდვილი ყოფილა... ალბათ, გაზეთშიც მალე დაიწერება.

— დაიწერება რომელია! პატარა საქმეა, ჩემო ელიზბარ? ხომ გახსოვს, მაგ ადგილებში ქვის და კატაბარდას მეტი არაფერი იყო. ახლა თითქმის მთელი ქალაქი ააგეს.

— ქალაქი არა, მაგრამ სამოციათასამდე კვადრატული მეტრის დაბა კი გააშენეს, — ჩამოართვა სიტყვა სიზუსტის მოყვარულმა მასწავლებელმა.

— ბატონო, რომ იყო ქუთაისი, ნამდვილად ორი იმოდენა გახდება... ელიზბარ, ერთი იმ შენს სასიძოს კითხე, ვახტანგმა კი თქვა, მაგრამ მაინც, იმ მანქანას თუ დააწერენ ნეტავი „ქუთაისიო“, ა?

— ეგ უკვე გავიგე... დააწერენ, აბა! გარედან შემოკლებით ეწერება, მაგრამ შიგ, ნაწილებს, ყველას აწერია, თურმე, რუსულად და ქართულად.

— კარგია, შე კაცო, გესიამოვნება კაცს... მაგ მანქანა მთელ ქვეყანას მოივლის და წაიკითხავს ხალხი „ქუთაისი“, „ქუთაისი“.

მოხუცმა ხანდარელმა განშორებისას გულთბილად ჩამოართვა ხელი.

სილიბისტრო მაღრაძე მოსახვევს მიეფარა თავისი დიდი პორტფელით.

* * *

ხალხით გაივსო მწვანე ქალაქი...

მხიარული ყიჟინითა და წითელი ტრანსპარანტებით მიემართებიან საავტომობილო ქარხნისაკენ. ჰაერი ისეა გაჟღენთილი ყვავილთა სურნელებით, თითქოს აგვისტოს ბდღვიალა მზე ერთ დიდ თაიგულად გადაქცეულა.

... მძიმედ ამოძრავდა ფოლადის დიდი კონვეიერი. ორივე მხარეზე განლაგებული სტენდები ათასნაირი დეტალებითაა დატვირთული. რამდენიმე კაცმა კონვეიერზე საავტომობილო ჩარჩოს წინა ხიდი დადგა, ხოლო ამწყობთა მეორე ჯგუფმა ახალგაზრდა ოსტატის ხელმძღვანელობით უკანა ხიდი მოუმარჯვა სასწრაფოდ. მასწავლებელთა ჯგუფში მდგარმა მოხუცმა ხანდარელმა გაკვირვების გამოთქმაც ვერ მოასწრო, რომ მანქანის ჩარჩოს უკვე თვლები მოარგეს. რამდენიმე გადასასვლელი და... დაადგეს ძარა, გამზადებული ავტო კონვეიერმა საბოლოო უბნის მიჯნასთან მიიტანა. მასში სასწრაფოდ ჩაასხეს საწვავი.

— ბატონო ელიზბარ, თქვენი შვილიშვილი...

სილიბისტრო მაღრაძე სქელ რკინის ძელზე შემდგარა და კისერწაგრძელებული ხარბად უცქერის ავტომანქანებს.

— აჰ, ავტო კი არა, მზეთუნახავია პირდაპირ...

აღტაცებით შესძახა სილიბისტრომ და ხალხში ჩაყვინთა.

ელიზბარ ხანდარელმა როგორც იქნა მოძებნა მოუსვენარი ბუხჰალტერი, მკლავზე ხელი მოჰკიდა, არსად გამექცესო, და აღელვებით მიმართა:

— დღეს ჩემთვის მრავალმხრივ სასიხარულო დღეა... ქუთაისური ავტოს გამოშვება... გარდა ამისა დღეს ჩემმა შვილიშვილმა ნინომ და ინჟინერმა მერაბ იმედაძემ ხელი მოაწერეს. გთხოვთ ამაღამ შინაურულ ვახშამზე მეწვიოთ.

* * *

დილით მოხუცი ხანდარელი უჩვეულო ხმაურმა გამოაღვიძა. წუხანდელ ღამენათევს ჯერ კიდევ თავი ტკიოდა. ბუზღუნით წამოდგა და ფანჯარა გამოაღო.

ალაყაფის კარებთან ახალთახალი ავტო იდგა. საფეხურზე ცალი ფეხი ჩამოედო გელა ხანდარელს, კაბინის კარებს დარდიმანდულად მიყრდნობოდა და ამაყი სახით ესაუბრებოდა შინაურებს.

მოხუცმა ნაჩქარევად გადაიცვა და დინჯად ჩავიდა ძირს. პატარა ხანდარელებს უკვე მოესწროთ კაბინაში შეძვრომა და იქ გაცხარებით ეკამათებოდნენ ერთმანეთს. მოხუცმა სათვალე გაიკეთა და კოხტა მანქანას გადახედა, რომელსაც ჯერ კიდევ უდიოდა საღებავის სუნი. საიდანღაც ყოვლისმცოდნე ბუხჰალტერი სილიბისტრო მაღრაძე გამოცუნცულდა, ყველას საერთო სალამი მისცა და გელას დაეღრიჯა:

— შენი ჭირიმე, გელა, ერთი ის მანახე, „ქუთაისი“ თუ აწერია სადმე... გელამ დინჯად ახადა კაპოტი და იქ ჩამწკრივებულ ნაწილებზე მიუთითა: აქა-იქ ელავდა წარწერა „ქუთაისი“. სილიბისტროს კმაყოფილების ღიმილი გადაეფინა სახეზე.

შინაურებმა გელა სახლში მიიხმეს, მაგრამ შოფერმა თავი გაიქნია და საქმიანად თქვა:

— მეჩქარება. საკონტროლო გარბენაზე ვარ წასასვლელი.



ახალგაზრდა ოსტატს სახე გაუბრწყინდა. ელიზბარს გაუხარდა: ვახტანგ მაღრაძე იცნო. კაბინაში სხარტად ჩახტა ჭაბუკი, მან ცალი ხელი მოხდენილად ასწია, ცალი კი საიმედოდ ჩამოსდო მანქანის საჭეზე და პირველმა ქართულმა ავტომ მშობლიურ მიწას დაადგა თვლები. იქუხა ტაშმა და ვაშამ... აქა-იქ ხეებზე და ხარაჩოებზე შემომსხდარმა ბავშვებმა გუნდად ააფრინეს მტრედები. ხალხის ხმაურმა და კონვეიერიდან ჩამომავალი ავტომანქანების გუგუნმა აავსო იქაურობა. ერთ-ერთი მანქანის კაბინაში გაიელვა მძღოლის მომღიმარმა სახემ და თეთრმა კბილებმა. მოხუცი ხანდარელი თითქოს ღრმა ფიქრებიდან გამოერკვა.

— ბაბუ, გელას ხედავ?

— ბიძია ელიზბარ, მძღოლი იცანი?

ეს ნინიკო და მერაბია. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი დგანან და ყვავილებს ესვრიან პირველ ქართულ ავტოს მძღოლს. ნაცნობი სახის შოფერი კი ცალი ხელით იჭერს ყვავილებს და მხიარულად იძახის რაღაცას. ელიზბარ ხანდარელმა გაიღიმა და თვალებზე მოისვა ხელი.

... სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულ სტუმრებს ყველა ქუთაისელი, — ქართული ავტოს მშენებელი ჰგონიათ და ხელში ვეება თაიგულებს აჩეჩებენ. უკვირთ ქუთაისლებს, სად იყო ამდენი ყვავილიო. ქუთაისელს რომ ყვავილი გაუკვირდება!..

- მოხუცმა ხანდარელმა ჟილეტის ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო და შვილიშვილს გაუწოდა:

— აიღე... კარგად დანიშნე რამდენ კილომეტრს გაივლის საათში ჩვენებური ავტო.

ჭაბუკს თვალები გაუბრწყინდა. მან მადლიერად გაუღიმა ბაბუას და საათი ჩამოართვა, მერე გია და კოტე კაბინიდან გადმოსხა და პირველმა ქართულმა ავტომ მსუბუქად გაიქროლა ქალაქის ქუჩაზე.

* * *

ოჯახის მატიანე თაროდან გადმოიღო ელიზბარ ხანდარელმა. ლენტით დანიშნულ ადგილზე გადაშალა და საწერ მაგიდას მიუჯდა. სუფთა ფურცელზე მსხვილი ასოებით გულმოდგინედ გამოიყვანა:

„იმედაძე მერაბ იასონის-ძე, ნინოს მეუღლე და ჩვენი სიძე... მდგომარეობით: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ინჟინერი“.

შემდეგ კი იქ, სადაც გელა ხანდარელის გვერდით მსხვილი კითხვის ნიშანი იჯდა, ლამაზი ხელით ჩასწერა:

„... პირველი ქართული ავტომანქანის მძღოლი“.

ასე შევიდა ახალი ფურცელი ხანდარელების ოჯახის მატიანეში.

# არჩევნები ამერიკაში

ნოემბრის პირველ სამშაბათს, როგორც ეს ამერიკის კონსტიტუციით არის დადგენილი, მოხდება ახალი, ამერიკის ისტორიაში ოცდამეცამეტე პრეზიდენტის არჩევა. 1952 წლის ოთხ ნოემბერს არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს პრეზიდენტს აირჩევენ, აირჩევენ აგრეთვე წარმომადგენელთა პალატის 435 წევრს, სენატის მესამედს, (სულ 96 სენატორია), მრავალი შტატის გუბერნატორს. ოთხ წელიწადში ერთხელ, ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი აურზაური, მითქმა-მოთქმა, ორომტრიალი ხუფევს. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაუხედავ ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მართლაც რაღაც ღირსშესანიშნავ მოვლენასთან აქვს საქმე. გაზეთები, რადიო, კინო, ჟურნალები — ყველა გაჰკივის, ყვირის, ბუკისა და ნაღარის ხმა ყოველ კუთხეში აყრუებს, აბრუებს ადამიანს. ორი ბურჟუაზიული პარტიის — რესპუბლიკელების და დემოკრატების უზარმაზარი პროპაგანდისტული აპარატი ისეთ კორიანტელს აყენებს, რომ აშტერებს, საბოლოო გამოთაყვანების გზაზე აყენებს ისედაც საქმის ვითარებაში ღრმად ჩაუხედავ საშუალო ამერიკელს. ამერიკაში ეს სამი საუკუნეა მისი უკეთილშობილესობა ბატონი კაპიტალი მეფობს. მისი „გადარჩევის" უფლება არავის აქვს. ის განაგებს, ის კარნახობს, ის ბატონობს. პრეზიდენტები, სენატორები, მისი ნების აღმასრულებელნი არიან. იმპერიალიზმის ეპოქაში პრეზიდენტი უოლ-სტრიტის მარიონეტკაა.

წინასაარჩევნო ორომტრიალი კი იმისთვის არის მოგონილი, რომ შეუქმნას ამერიკელს დემოკრატიზმის ილუზიები, დააჯეროს დაუჯერებელი, თითქოს მას რაღაც უფლებები აქვს.

ორი პარტიაც წმინდა მოჩვენებითი რამ არის. ამერიკის ისტორია ხშირად ვერ არჩევს რა განსხვავება იყო რესპუბლიკელებისა და დემოკრატების საარჩევნო პროგრამაში. რესპუბლიკელების ახლანდელი კანდიდატი დუაიტ ეიზენჰაუერი, რომელსაც მეტსახელად ბავშვობიდან აიკს ეძახიან, ის იყო დემოკრატების კანდიდატი უნდა გამხდარიყო, როდესაც რესპუბლიკელებმა ბოლოს და ბოლოს დაარწმუნეს გენერალი, რომ მისთვის რესპუბლიკელობა აჯობებდა, რადგან ამ პარტიას წელს არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი აქვსო. ამ სამოცი წლის წინათ ფრიდრიხ ენგელსი წერდა: „ჩვენ იქ ვხედავთ პოლიტიკურ სპეკულიანტთა ორ დიდ ბრბოს, რომელნიც რიგ-რიგად ჩაიგდებენ ხოლმე ხელში სახელმწიფო ხელისუფლებას და ექსპლოატაციას უწევენ მას ყოვლად ბინძურად, ყოვლად ბინძური მიზნებისათვის, ერი კი უძლურია პოლიტიკოსთა ამ ორი დიდი კავშირის მიმართ, რომლებიც თითქოს ემსახურებიან მას, ნამდვილად კი ბატონობენ მასზე და ძარცვავენ მას" ასე იყო ამ სამოცი წლის წინათ. ასეა ახლაც.

რესპუბლიკელებმა, პარტიის ნაციონალურ ყრილობაზე, რომელიც ჩიკაგოში მსხვილფეხა საქონლის გამოფენის დარბაზში მიმდინარეობდა ამა წლის ივლისში, პრეზიდენტობის კანდიდატად ეიზენჰაუერი წამოაყენეს. ეიზენჰაუერის კანდიდატურა დიდი ბრძოლების შემდეგ დამტკიცდა. რესპუბლიკელთა ერთ ჯგუფს სენატორი ტაფტი უფრო სასურველად მიაჩნდა. ამბობენ ეიზენჰაუერის კანდიდატურის დამტკიცება მის მომხრეებს ოცი მილიონი დოლარი დაუჯდათო. დელეგატებს ყიდულობდნენ ცალობით და ბითუმად. წვრილფეხა დელეგატების ხმა 2.500 დოლარი ღირდა, უფრო მსხვილი პილტდაუნელები, ეს პირველყოფილ ადამიანთა წინამორბედნი, 5000 დოლარამდე ფასობდნენ. ეიზენჰაუერი ომის გამჩაღებელთა შორის უპირველესთაგანია. აიკი, როგორც ეს მან თვითონაც განაცხადა ამერიკულ ლეგიონის ეროვნულ ყრილობაზე, სალაშქროდ ემზადება. ამ პოლიტიკური ღორმუცელას მადა ფანტასტიკურად უსაზღვროა, მას ენის ქავილი არ ასვენებს. ეს გაუნათლებელი ვაჟბატონი, რომელიც იმით ყოყოჩობს, რომ წლების მანძილზე ხელში წიგნი არ აუღია, მსოფლიოს დაპყრობას ლამობს და კაცობრიობის დაშინება სურს. აიკს გაზეთმა „პრავდამ" ამას წინათ განუმარტა, რომ მას ყვავების შეშინება თუ შეუძლია ბოსტანში, თორემ თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ამ უწიგნური გენერალის მუქარა სასაცილოდაც არ ეყოფათ.

დემოკრატების კანდიდატია ედლაი სტივენსონი. ვინ არის ეს სტივენსონი? ტრუმენის მარჯვნივ მდგომი მოღვაწე. ის 1945 წლიდან „ცივი" ომის ინიციატორი და სულის ჩამდგმელია. იმ დროის სახელმწიფო მდივნების, ე. ი. საგარეო საქმეთა მინისტრების სტეტინიუსის და ბირნსის თანაშემწე, ის მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მილიონერ ავერელ ჰარიმანთან, მისი შემწეობით კი როკფელერთან და მორგანთან. სტივენსონი აიზენჰაუერის შემდეგ, მეორე დღეს, გამოვიდა სიტყვით ამერიკულ ლეგიონის ეროვნულ ყრილობაზე. მისი სიტყვა ფაქტობრივ არაფრით განსხვავდებოდა ეიზენჰაუერის პროგრამისაგან. ოღონდ თითქოს უფრო თავდაჭერილად და უფრო მოფიქრებული გამოთქმებით მოუწოდებდა ამერიკელებს აგრესიული ომისაკენ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ. რომ აიკიც და ედლაიც „მშვიდობაზე" გაიძახიან და უსირცხვილოდ „თავდაცვაზე" ლაყბობენ. ესეც ძველი ოინია.

მაგრამ უოლ-სტრიტის მაგნატებისათვის — მორგანებისათვის, როკფელერებისათვის, დიუპონებისათვის, ამ ახლად მოვლენილი მსოფლიოს დამპყრობის ალვირახსნილი მუქარა „ბიგ ბიზნესის", ე. ი. დიდი ბიზნესის მომასწავებელია. თუ სამხედრო ბუმი არ იქნება, ამერიკის ეკონომიკას საშინელი კრიზისი მოელის, ყოველი ჯურის ჰარიმანებს და ოლდრიჩებს—გაკოტრება და შესაძლებელია სილატაკეც. აქ მარხია ძაღლის თავი. ამიტომ ყეფენ ცოფმორეული ომისგამჩაღებლები, ამიტომ გაჰკივის ეს ტაკიმასხარა „ხალხთა განთავისუფლებაზე".

წინასაარჩევნო კამპანია ავალებს ორივე პარტიის წარმომადგენლებს ებრძოლონ ერთმანეთს. ორივე მხრიდან ისმის ბრალდებები. დემოკრატიულმა პარტიამ ისარგებლა ეიზენჰაუერის განცხადებით და ბრალს სდებს რესპუბლიკელებს—თქვენ ცხელი ომი გსურთ, ასეთ ომისათვის კი არც ჩვენ, არც ჩვენი მოკავშირეები ჯერ მზად არა ვართო. დემოკრატები ილუზიას უქმნიან ამომრჩევლებს, თითქოს ისინი მოლაპარაკების, რესპუბლიკელები კი ომის პარტია არის. საბოლოოდ გამოთაყვანებული საშუალო ამერიკელიც მიხვდება, რომ ეს მტკნარი სიცრუეა და უსინდისო დემაგოგია. ვინ აწარმოებს ომს კორეაში? ვინ ხოცავს კორეელ ბავშვებს და ქალებს? დემოკრატი ტრუმენი. რესპუბლიკელი ეიზენჰაუერი ტრუმენის ხელქვეითი იყო და ტრუმენის დავალებით ამზადებდა ევროპაში სამხედრო პლაცდარმს საბჭოთა კავშირის და მშვიდობისმოყვარე სხვა ხალხების წინააღმდეგ. რესპუბლიკელები დემოკრატებს წამებენ, თქვენ პოლიტიკას დინამიზმი აკლიაო. ეს იმას ნიშნავს, რომ ეიზენჰაუერს ომის გაჩაღება უფრო ჩქარი ტემპებით სურს.

არავითარი პრინციპული განსხვავება არ არის რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის საშინაო პოლიტიკის საკითხებშიც. დემოკრატები თითქოს ცოტათი უფრო მოქნილი დემაგოგები არიან და თავის თავს მუშებისა და ფერმერების დამცველად აღიარებენ. მაგრამ ისინი ისევე უჭერენ მხარს მუშებს, როგორც ბაწარი იჭერს ჩამოხრჩობილს. ამ პარტიების საშინაო პოლიტიკას მათი საგარეო ავანტიურები განსაზღვრავენ. ორივე პარტიის წარმომადგენელი ხალხს კარაქის მაგივრად ზარბაზნებს პირდება. ეიზენჰაუერი აქტიურად ილაშქრებს სოციალური უზრუნველყოფის წინააღმდეგ. გენერალმა ცინიკურად განაცხადა „თუ ადამიანს უზრუნველყოფა სჭირდება, ციხე მის წინაშე დიდ შესაძლებლობას სახავს". გადასახადების შემცირებაზე ოცნებაც არ შეუძლია ამერიკელ ხალხს. ხელფასის შემცირება, რეაქციული კანონმდებლობა, ხალხთა ფართო მასების სასტიკი ექსპლოატაცია, ქვეყნის ფაშიზაცია — აი ეს არის ორივე პარტიის საშინაო პოლიტიკა.

1912 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „ხალხს ატყუებენ, თავის საარსებო ინტერესებს აშორებენ ორი ბურჟუაზიული პარტიის ეფექტიანი და უშინაარსო დუელების საშუალებით". ვ. ი. ლენინის ეს დახასიათება ზედმიწევნით სწორად გამოხატავს დღევანდელ ვითარებასაც.

პროფბიუროკრატები, ცნობილი მოღალატეები გრინი, მერეი და სხვები მოუწოდებენ ამერიკელ მუშებს, მხარი დაუჭირონ და ხმა მისცენ ომის გამჩაღებლებს, პირველ რიგში სტივენსონს. მეტი გამცემლობა წარმოუდგენელია.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე პროგრესული პარტია. პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებულია ცნობილი იურისტი, პროგრესული ბანაკის აქტიური მებრძოლი ვინსენტ ჰოლინენი, ვიცე-პრეზიდენტად დასახელებულია ზანგი ქალი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე შარლოტა ბასი. მუშათა პარტიამ კონგრესში ნიუ-იორკიდან წამოაყენა ცნობილი პროგრესული მწერალი ჰოუარდ ფასტი, რომელმაც განაცხადა „მე მშვიდობის კანდიდატი ვარ". პროგრესული პარტიის წინააღმდეგ იბრძვის მთელი რეაქციული ბანაკი. პარტიას ყოველგვარ საშუალებას უსპობენ მონაწილეობა მიიღოს წინასაარჩევნო კამპანიაში. მიუხედავად ამისა პროგრესული პარტია აქტიურად იბრძვის, ამხელს ომისგამჩაღებლებს, მართალი სიტყვით მიმართავს ამერიკელ ხალხს, თვალს უხელს მას, მოუწოდებს მშვიდობისათვის აქტიური ბრძოლისაკენ. პროგრესული პარტია ერთადერთი პარტიაა, რომელიც ამერიკელი ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესული პარტიის კანდიდატების გამარჯვება მომავალ არჩევნებში დიდ სიძნელეებს წააწყდება, ამ პარტიის წინასაარჩევნო აქტიური მოქმედება დიდ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშვიდობისა და დემოკრატიის საქმის გამარჯვებისათვის.

ვლ. მაჭავარიანი

---

## წინასაარჩევნო ტრიუკი ამერიკაში

ამერიკაში პრეზიდენტის არჩევნების წინ ამომრჩეველთა გაბრუებისა და მათზე „ემოციური" ზემოქმედების მიზნით უოლსტრიტელი საქმოსნები გაუგონარ რეკლამურ ტრიუკებს მიმართავენ. ამასწინათ ეიზენჰაუერის სასარგებლოდ გამართულ მიტინგზე ჩიკაგოში „მოჩვენებებთან" ერთად ადგილობრივ პოლიტიკურ ჯუნგლებიდან გამოიყვანეს „ტარზანი" რომელსაც ქურქზე ეწერა „მე მომწონს აიკი"

ნახატი გ. ლომიძისა





# რთველი

←ხირსის მეურნეობიდან ყოველდღიურად 12 ტონა ყურძენი იგზავნება თბილისის მშრომელთათვის.

საქართველოში სექტემბერ-ოქტომბერს ტყუილად არ ეძახიან „ოქროს თვეებს“. ამ თვეებში შემოდის და იკრიფება კომში და ლელვი, შემოდგომის ვაშლი და ქარვისფერი ყურძენი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იღებენ უხვ მოსავალს.

წელს, მიუხედავად გვალვიანი ამინდისა, ყურძნის დიდ მოსავალს მოელიან. რთველი უკვე დაიწყო.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია ყურძნის კრეფა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი ღვინის მრეწველობაში ანაგის, წინანდლის, ატენის, ვარციხის, ხირსის და მელვინეობის სხვა საბჭოთა მეურნეობებს.

ხირსა ...

ალაზნის ნაყოფიერ ველს ზედ ეკვრის ვაზის მწვანე ფართო ფოთლებით გადაბარდნილი ხირსის მელვინეობის საბჭოთა მეურნეობა.

თვალსა და გულს ახარებენ ჭიგოებზე შემოხვეული და ფოლადის მავთულებზე გადალასტული ვაზები, საიდანაც დაუფარავი სიყვითლით იცქირება უტკბილესი რქაწითელი.

სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაწყებული ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე იქ მადლიანი შრომის ფერხულია გაჩაღებული იწყება მოსავლის დღესასწაული.

გოდრებით, უზარმაზარი ყუთებით დატვირთული მანქანები გამუდმებით მოძრაობენ ვაზით მოფენილ მინდვრებსა და მეურნეობის მარანს შორის.

„ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაშებ გადგიგრეხია,
დასჭიდებიხარ ჭიგოსა
შუაზე გადგიტეხია“

მღერიან საბჭოთა მეურნეობის წევრები, რომლებიც ახლა თვითონ „დასჭიდებიან“ ვენახს, რათა დროულად და გადაჭარბებით ჩააბარონ ყურძენი დედა-სამშობლოს.

უხსოვარ დროში შეუქმნია ეს სიმღერა ქართველ ხალხს. თაობიდან თაობაში გადადიოდა მისი ტკბილი ჰანგები, როგორც გამოხატულება, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის სიყვარულისა „შვილივით ნაზარდ“ ვაზისადმი.

დღის თორმეტი საათი იყო, როცა მეურნეობის მთავარი აგრონომი მიხეილ გოგოლაშვილი მეურნეობის გაშლილ ველებისაკენ წამიძღვა.

სულ ორი დღის დაწყებული იყო რთველი, მაგრამ ყურძნის მოსავალი გაფიქრებინებდათ, აქ რთველი ორი კვირის დაწყებული მაინც იქნებაო. — 25 სექტემბერს დავიწყეთ კრეფა—მიამბობს მიხეილ გოგოლაშვილი—მაგრამ უკვე თითქმის ნახევრამდე აივსო ჩვენი მარანის როფები და ქვევრები. წლევანდელმა მოსავალმა მოლოდინს ერთი ორად გადააჭარბა — კმაყოფილებით აღნიშნავს იგი და ვილაცას გასძახის, — კოტე, ჰა, კოტე, ეს მტევანი რომ დაგიტოვებიათ, ასე შეიძლება?! — და ყურძენზე ანიშნებს, რომლის შემჩნევასაც მართლაც „ფხიზელი“ თვალი სჭირდებოდა.

ვენახებში შემოგვხვდნენ მეურნეობის დირექტორი ვლადიმერ მაზიაშვილი და მისი მოადგილე ლევან ნაცვლიშვილი. ისინი ბლოკნოტში რაღაცას იწერდნენ, ანგარიშობდნენ, და თვალყურს ადევნებდნენ ყურძნით დატვირთულ მანქანების მოძრაობას.

ულევი გოდრები მოდის ვენახებიდან. კრეფისათვის შესანიშნავი ამინდია, ცხრათვალა მზე დაჰყურებს მინდორს, ლურჯ, მოწმენდილ ციდან.

ოფლით გახვითქული მუშები დაუღალავად კრეფენ „რქაწითელს“. ვინ იცის როგორი ამინდი წამოგვეწევა და ხომ შეიძლება ვენახი დაგვიზიანოსო. ამინდს ხაავდრო პირი არ უჩანს, მაგრამ მაინც ფრთხილობენ — სურთ არ დაუკარგონ

გიორგი ტალიაშვილი ამოწმებს თბილისში გასაგზავნ ყურძნის ხარისხს.



ხირსის მარნის ე. წ. კახურ განყოფილებაში 208 ვეებერთელა ქვევრა ერთბაშად ივსება ყურძნის წვენით.



# საქართველოში


ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკუპაჟების შემდეგ პორთვეინის ტიპის ღვინოს ასხამენ კასრებში და ეზოში აწყობენ 6 თვით, ბუნებრივი მოდერნიზაციისათვის. →

საყვარელ სამშობლოს ყურძნის არც ერთი მტევანი, არც ერთი მარცვალი.

ყურძნის ასეთი დიდი მოსავალი ხირსელებმა მთელი წლის დაუღალავი შრომით მოიპოვეს. ეს არ არის ბუნების წყალობა.

ადრიდანვე დაიჭირეს მათ თადარიგი. მოსავლიანობის გადიდების მიზნით მოახდინეს ნიადაგში ორგანული სასუქების შეტანა, დროულად ჩაატარეს ნიადაგის დამუშავების ღონისძიებანი — მოხვნა, კულტივაცია და სხვ. და რაც მთავარია, ვაზის გასხვლა და მათი ნორმალური დატვირთვა.

გარდა ამისა, მათ ვენახი გეგმით გათვალისწინებულ 5 შეწამვლის ნაცვლად, ექვსჯერ შეწამლეს, რათა უზრუნველეყოთ ჭრაქის საშიშროების თავიდან აცილება.

მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიის პრაქტიკაში გამოყენებამ ხირსელ მეურნეებს შესანიშნავი შედეგი მოუტანა. მე-6 და მე-2 უბნებმა, სადაც პირველად დაიწყო კრეფა, თვითეული ჰექტარიდან 80-90 ცენტნერი ყურძენი ჩააბარეს.

თვითეული ძირი ვაზი ხირსელებს დაახლოებით 3-4 კილოგრამ ყურძენს აძლევს საშუალოდ.

მე-2 და მე-6 უბნები ალაზნის ველის ზემოთა ნაწილში მდებარეობენ. ამ ადგილებს ურწყავს ეძახიან. სწორედ ურწყავში დაიწყეს პირველი მოსავლის აღება ხირსელებმა. მე-6 უბანს მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი აგრონომი არტემ მიშველიძე ხელმძღვანელობს. არტემ მიშველიძე დილიდან გვიან ღამემდე არ ტოვებს ვენახს. ის აწარმოებს მოკრეფილი ჭირნახულის აღრიცხვას, მზრუნველობით და საქმიანად ჩამოუვლის ვენახებს. მის უბანში ორი ბრიგადაა, რომელთაც აგრონომები ვალერიან შავლაყაძე და დავით ალადაშვილი ხელმძღვანელობენ. ბრიგადის წევრები გეგმებს 180-200 % ასრულებენ.

პარტიის XIX ყრილობის ღირსეულად აღსანიშნავად ხირსელმა მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს სამშობლოს გეგმის ზევით ჩააბარონ 3.000 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, მოსავალი აიღონ უდანაკარგოდ, შემჭიდროვებულ ვადებში. მეღვინეებმა ვალდებულება აიღეს სახელმწიფოს ჩააბარონ გეგმის ზევით 2500 დეკალიტრი მაღალხარისხოვანი ღვინის მასალა.

**ნ. გურეშიძე**

ფოტო ვლ. გინზბურგისა

**თამაზ ჭილაძე**

## რთველი

ლალი და ქარვა უხვად გაშლილი,
მაჭარი ტკბილად დაღვინებული,
და ბროწეული ლამაზ ბავშვივით
ტუჩდამსკდარი და გაღიმებული.

გაივლი გზაზე, სიტურფეს ეძებ,
დაეწაფები წყაროს ღელეში,
მოლაღურები მღერიან ხეზე
და შემოდგომა მღერის ქვევრებში.

დაბრუნდები და შვილს მისწერ ასე:
შვილო. ეს ღვინო კარდანახული
მე შენთვისა მაქვს გადანახული.
შენ ვოლგის ახლოს ელსადგურს აგებ,
რომ გამინათო სიბერის წლები,
ასწიე ჭიქა ამ ღვინით სავსე
და მიდღეგრძელე ვოლგელი ძმები...

ლაბორატორიის გამგე ქ. ჯაფარიძე და ლაბორანტი ი. ხუციშვილი ამოწმებენ ყურძნის ხარისხსა და ქიმიურ შემადგენლობას.



მანქანებით მოტანილი ყურძენი იყრება ბუნკერში და შემდეგ გადის ეგროპომპაში დასამუშავებლად.



# ოლიმპიური ჩემპიონები



ფოტოზე: დავით ციმაკურიძე (მარჯვნივ) ჭიდაობის მომენტში.

## გიორგწმინდელი გოლიათი

არსენ მეკოკიშვილს არც კი ახსოვს, როდის დაიწყო ჭიდაობა. ჯერ კიდევ ბალღი იყო, როდესაც ტოლ ბიჭებთან ერთად უფროსებს გაჰყვებოდა ყანაში სამუშაოდ, საღამოობით კი ბიჭები მწვანეზე გავიდოდნენ და თავდავიწყებით, ბავშვური გატაცებით ჭიდაობდნენ. ჯერ თანატოლებს დააწყობდა სათითაოდ მიწაზე, მერე კი კარგა მოზრდილებსაც აუხურებდა ბეჭებს...

...გიორგწმინდაში უყვართ ქართული ჭიდაობა. კვირაობით, სოფლის ბოლოს, ფორზე იკრიბებიან ბიჭები, ხელდახელ გაასუფთავებენ საჭიდაო წრეს და მუხლმორთხმით გარს შემოუსხდებიან. მალე სხვებიც გამოჩნდებიან — ჯერ ახალგაზრდები მოვლენ, მათ შუახნისანი მოჰყვებიან, ბოლოს კი ჯოხზე დაბჯენილი მოხუცებიც დაიკავებენ თავიანთ ადგილებს.

ჩამოსხდებიან მოხუცები, მამა-პაპურ ყალიონებს გააბოლებენ და, თითქოს გუშინ იყოო, ისე იხსენებენ კოლა გლდანელის, ნესტორ ესებუას და სანდრო კანდელაკის ჭიდაობას. მათი მრავლის მნახველი, გამოცდილი თვალი არ სცილდება წრეს, სადაც მოჭიდავეები დახტიან, ერთმანეთსა ჰბუბნიან და ნაირ-ნაირ ილეთს ხმარობენ.

ზურნის ხმა და დოლის ბაგა-ბუგი ზარხოშს უმატებს მოასპარეზეებსაც და მაყურებლებსაც. ვიღაც გამყივანი ხმით წამოიწყებს:

„ჭიდაობას რა უნდა,—
ფეხის გამოკვრა უნდა"...

უყურებენ ახალგაზრდების შერკინებას მოხუცები და მოუთმენლად ელიან—როდისღა გამოვა მათი ფალავანი არსენა მეკოკიშვილი?

აი, მისი ჯერიც დგება. მკვრივად აგებული, ვეება ტანის გოლიათი დინჯად ირგებს ჩოხას, მჭიდროდ იკრავს ქამარს, მერე მსუბუქად გადმოხტება წრეში და „ქართულს" დაუვლის.

— მიდი, არსენ! აბა, შენ იცი!

იცის არსენმა: რაიონის ბევრი განთქმული ფალავანი რამდენჯერმე ჰყავს დამარცხებული.

როცა არსენას სახელი შორს გავარდა და ახლომახლო მისი მჯობნი არავინ დარჩა, იგი თბილისში ჩამოვიდა საქართველოს უძლიერეს მოჭიდავეებთან შესახვედრად. სოფელ გიორგწმინდის კოლმეურნეობა „საამური ცხოვრების" ბრიგადირი მეკოკიშვილი მართლაც უძლეველი აღმოჩნდა. ზედიზედ ანარცხებდა მეტოქეებს,—გოლიათს საოცარი სისწრაფე, მოხერხება და ალღო ჰქონდა.

არსენ მეკოკიშვილმა მალე ჭიდაობის სხვა სახეებსაც მიჰყო ხელი—სამბოს, თავისუფალს, კლასიკურს. ქართული ჭიდაობის ხერხებსა და ილეთებს იყენებდა ყოველმხრივ, ყოველ მათგანს თავისებურად ხმარობდა. ათასგვარად ამუშავებდა, ხვეწდა, ქართულ შნოსა და ლაზათს აძლევდა.

1940 წელს მეკოკიშვილმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სამბოში მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

მას შემდეგ არსენმა თექვსმეტჯერ მოიხვეჭა ჩემპიონის სახელი—ოთხჯერ ქართულ ჭიდაობაში, ექვსჯერ—საბჭოთა კავშირისა სამბოში, ექვსჯერაც—თავისუფალში. სულ თექვსმეტჯერ!

მეჩვიდმეტეს ჯერიც დადგა...

..."მესუჰალის" დარბაზი ყრუ გუგუნით შეხვდა გოლიათს. მეკოკიშვილი განიერი, ოდნავ დუნე ნაბიჯით გამოვიდა ხალიჩაზე.

დარბაზში მსხდომ — ფინეთის დედაქალაქის მკვიდრთ, იქ ჩასულ მრავალრიცხოვან ტურისტებს, ეგვიპტის, ირანის, შვეციის, ამერიკის, თურქეთის და სხვა სახელმწიფოთა მოჭიდავეებს, ჭიდაობის სპეციალისტებს აზრადაც კი არ მოსდიოდათ, რომ ამ ქართველი ფალავნის ბეჭები ერთხელაც არ შეხებია ხალიჩას.

საბჭოთა გოლიათმა გულკეთილი ღიმილით, როგორიც მხოლოდ დევგმირული ძალისა და ალალი გულის ადამიანებს ჩვევია, ხელი გაუწოდა მოწინააღმდეგეს, ნაბიჯი წინ გადადგა, უმალ შემობრუნდა და მეტოქეს ეძგერა...

ეძგერა და, უნგრელი კოვაჩი ექვსი წუთის შემდეგ გულაღმა იწვა.

...სულ ერთი წუთი იდგა ფეხზე იტალიელი ვეკხი; დასავლეთ გერმანელმა ვალტბერმა რის ვაი-ვაგლახით გაუძლო მეკოკიშვილს და ქულებით წააგო; მაყურებელთა ხარხარისაგან დარბაზი შეინძრა, როცა არსენმა გამართულ მკლავებზე აიტაცა ინგლისელი რიჩმანდი, ნაფოტივით შეათამაშა ჰაერში და გულიანად დაანარცხა ძირს. ინგლისელი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ არსენას მუხლს წამოედო და ხალიჩაზე პირქვე დაემხო.

ბოლო შეხვედრა მეკოკიშვილს კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონ შვედ ანტონსონთან ჰქონდა.

ჭიდაობის შემდეგ დამარცხებულმა შვედმა თარჯიმანის პირით სსრ კავშირის გუნდის უფროს მწვრთნელს ვახტანგ კუხიანიძეს მიმართა:

— 1947 წელს ევროპის პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში იოჰანეს კოტკასთან წავაგე. მასთან შეხვედრა კარგს არას მიქადდა, ამიტომ გადავწყვიტე ოლიმპიურ თამაშებში თავისუფალი სტილით ჭიდაობაში გამოვსულიყავი. აქ თურმე უარესი ყოფილა — ტანკის ქვეშ მოვყევი.

ვეება დარბაზი ფეხზე წამოდგომით და ტაშის ქუხილით შეხვდა არსენ მეკოკიშვილისთვის მსოფლიო XV ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის გადაცემას.

ეს იყო მეჩვიდმეტე, ყველაზე საპატიო ჩემპიონობა!

## მსოფლიოში უძლიერესი

— მაშ, ეს არის ამერიკელი?

დავითი საჭიდაო ხალიჩის ერთ კიდეში დგას, მეტოქეს თვალით ზომავს, თავით-ფეხებამდე ათვალიერებს. ცდილობს არ შეიმჩნიოს აღელვება, დინჯად ისწორებს საჭიდაო ტრიკოს, მაგრამ გამოცდილი თვალი შეამჩნევს, თუ რატომ ინაცვლებს ასე ხშირად ფეხს ციმაკურიძე, რატომ იფშვნეტს ზურგს უკან დაწყობილ ხელებს.

— მაშ, ეს არის ამერიკელი?

მის პირდაპირ ამერიკელი ხოჯი დგას, ტანმაღალი, მკვრივი, მკვეთრად გამოკვეთილი კუნთებით... ქედმაღლად უმზერს ხალხს, თავი ამაყად უჭირავს და ვიღაც თავისიანს ექილიკება პირველ რიგში. ეტყობა თავისებურ „ფსიქოლოგიურ შეტევას" აწარმოებს—თავისი სიმშვიდით სურს მეტოქის დაჯაბნვა.

— წყნარად, დავით, წყნარად!

ეს ვახტანგ კუხიანიძეა.

უამრავი მაყურებლით გაჭედილმა „მესუჰალის" ვეება დარბაზმა ხმა გაკმინდა, გაინაბა და ათი ათასი თვალი იმ ადგილს მიაშტერდა, სადაც ორი ძლიერი, ჩამკვრივებული სხეული ერთმანეთს შებმოდა.

— დავითმა ფრთხილად — მოსინჯა მეტოქის მკლავი. მოსინჯა და თავისკენ დაითრია. ის იყო, მოგვერდზე წამოღებას უპირებდა, მაგრამ ამერიკელი მიუხვდა, ხელი შეიშველია და რკინის მარწუხებს თავი დაალწია. ახლა სარმა სცადა ციმაკურიძემ. ხოჯმა ფეხი ფიცხლად გაარიდა, ოდნავ ჩაიმუხლა და უმალვე მხარს ქვეშ შეუსხლტა დავითს.

— ძლიერი ყოფილა,—გაუელვა დავითს და მწვრთნელის დარიგება გაახსენდა: თავისივე ფანდზე დაიჭირეო ხოჯი.

...ხუთმა წუთმა განვლო. ციმაკურიძემ განზრახ მისცა მეტოქეს ხელმოსავლებად კისერი და როცა ამერიკელმა მაღლა ასწია მკლავი, დავითი ვეფხვივით ეკვეთა წელში, ხალიჩას მოწყვიტა, აიტაცა და ხოჯის ფეხებმა უმწეოდ გაისავსავეს ჰაერში.

გაოგნებული ამერიკელი ჯერ კიდევ ბეჭებზე იწვა, როცა დარბაზში ტაშმა იქუხა. მაყურებლები თავის აღტაცებას ხმამაღლა გამოხატავდნენ, — საბჭოთა მოჭიდავემ გუშინაც ასე მოულოდნელად, ლაზათიანად და ვაჟკაცურად მიაბეჭდა ხალიჩას ეგვიპტელი ჰუსეინი.

და კვლავ ტაშის ქუხილით გრგვინავდა „მესუჰალის" დარბაზი, როდესაც ქართველი ფალავანი დავით ციმაკურიძე ხალიჩაზე ანარცხებდა ირანელ ტახტუს, უნგრელ გურიჩს. საბჭოთა კავშირის ჰიმნის დიდებული ჰანგები ქღერდა დარბაზში და ანძაზე ნელ-ნელა აღიმართებოდა წითელი დროშა ხუთქიმიანი ვარსკვლავითა და ნამგალ-ჩაქუჩით.

— დავითს ჭიდაობა მამამისმა ასწავლა. სახელმოხვეჭილ მიშიკო მაჩაბელს (ციმაკურიძე) შვილი ჭიდაობაზე დაჰყავდა, გამოჩენილ ოსტატებს ანახებდა და მერე სახლში ასწავლიდა სხვადასხვა ფანდებსა და ილეთებს.

1940 წელს დავითი ჭიდაობის სექციაში ჩაეწერა და მწვრთნელის პეტრე იორდანიშვილის ხელმძღვანელობით რეგულარულ წვრთნას შეუდგა.

ერთი წლის შემდეგ იგი უკვე საქართველოს ჩემპიონი იყო ჭაბუკთა შორის.

1945 წელს ციმაკურიძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში. მას შემდეგ კიდევ ხუთჯერ ზედიზედ მან ჩვენი სამშობლოს უძლიერესი მოჭიდავის სახელი დაიმსახურა საშუალო წონაში.

სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ჩვენი ქვეყნის სპორტული დიდება ბევრჯერ სასახელოდ დაუცავს საერთაშორისო ასპარეზობებში.

...ტაშის ქუხილით გრგვინავდა „მესუჰალის" დარბაზი. საბჭოთა კავშირის ჰიმნის მელოდია ქღერდა უზარმაზარ თაღებქვეშ და ანძაზე აღიმართებოდა ჩვენი წითელი დროშა.

ოლიმპიური ჩემპიონის საპატიო კვარცხლბეკზე გაბრწყინებული სახით იდგა ლაზათიანი მოყვანილობის ქართველი ვაჟკაცი დავით ციმაკურიძე. გული სიამაყით ჰქონდა სავსე, — მან გაამართლა სამშობლოს ნდობა. მის მკერდზე XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალი ბრწყინავდა.

მ. კაკაბაძე, ბ. ქორქია.



ფოტოზე: არსენ მეკოკიშვილი

# წიგნები და ავტორები

## სასარგებლო და საინტერესო წიგნი

**ვ. გიორგობიანი**

„უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ჩამოვედი. უნდა გამოგიტყდეთ, ეს არის ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე, რაც მე ოდესმე მინახავს. ჩემის აზრით, ეს არის ქვეყნად ყველაზე ღვთაებრივი და მომხიბლავი ადგილი".

ასე სწერდა ბორჯომის მშვენიერი ბუნებით მოხიბლული გენიალური რუსი კომპოზიტორი პ. ჩაიკოვსკი თავის მეგობარს. ეს სიტყვები ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული პროფესორ ნ. ა. ყიფშიძის წიგნს — „ბორჯომი და ბორჯომის ხეობა", რომელიც ახლახან რუსულ ენაზე გამოსცა საქართველოს სამედიცინო გამომცემლობამ.

კითხულობ ამ შესანიშნავ წიგნს და დაწვრილებით ეცნობი ბორჯომის ხეობის მართლაც მომხიბლავ ბუნებას, მის ფლორასა და ფაუნას, მის მდებარეობას, ბორჯომის მინერალური წყლების ქიმიურ შემადგენლობასა და თვისებებს, მათ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე; ეცნობი ბორჯომის ხეობაში უხვად მოთავსებულ სხვადასხვა აგარაკების მნიშვნელობასა და აღწერილობას. ავტორი აცოცხლებს ქართველი ხალხის წარსულის გმირულ სურათებს. რამდენი სისხლი დაღვრილა ამ ხეობაში! თავისუფლებისმოყვარული ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე გმირულად ებრძოდა მტრის ურდოებს, გმირულად იცავდა თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამაზე ცოცხლად მეტყველებს იმ ციხე-სიმაგრეების ნანგრევები, რომლითაც მოფენილია ბორჯომის ხეობა...

ახლა ეს მშვენიერი მხარე სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით არის მოფენილი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აყვავდა და გაიფურჩქნა ბორჯომის ხეობა, იგი მშრომელი ხალხის დასვენებისა და ჯანმრთელობის კერად იქცა. ცარიზმისა და მენშევიკების შავბნელი ბატონობის დროს, რა თქმა უნდა, არავინ ზრუნავდა ბორჯომის კეთილმოწყობასა და გაშენებისათვის.

ორიოდე კეთილმოწყობილი სახლი, რომელიც მაშინ ბორჯომში იდგა, ერთი მუჭა მდიდრების საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მშრომელებს ოცნებაც არ შეეძლოთ ბორჯომში დასასვენებლად და სამკურნალოდ წასვლაზე. წიგნში მოყვანილია გამოჩენილი კლინიცისტის გ. ზახარინის სიტყვები: „როგორი დიდი მომავალიც არ უნდა ჰქონდეს ბორჯომს, როგორი რაოდენობითაც არ უნდა მიედინებოდნენ ავადმყოფები იქით, მათი რიცხვი მაინც უმნიშვნელო იქნება იმათთან შედარებით, რომელთაც სჭირდებათ ბორჯომის მინერალური წყლები, მაგრამ ბორჯომში წასვლის ოცნებაც კი არ შეეძლებათ". ასე იყო უწინ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ახლა ბორჯომის ხეობისაკენ ყოველწლიურად მიდიან ათი ათასობით მშრომელი ადამიანები, მათთვის უზრუნველყოფილია უფასო დასვენება და მკურნალობა. კეთილმოწყობილ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მათთვის ყველა პირობაა შექმნილი, რათა აღიდგინონ დახარჯული ენერგია, დაისვენონ და განიკურნონ.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი ყოველდღიურად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ახალი საკურორტო ქსელის შემდგომი გაფართოებისა და გადიდებისაკენ.

„ბორჯომს აქვს მდიდარი ისტორიული წარსული, შესანიშნავი აწმყო, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერი იქნება მისი ხვალინდელი დღე" წერს პროფ. ნ. ყიფშიძე.

წიგნი დაწერილია საქმის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით, მეცნიერული სიმართლითა და სიზუსტით. ავტორი — გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ემყარება თავის ხანგრძლივ მეცნიერულ გამოცდილებასა და დაკვირვებებს და დაწვრილებით აცნობს მკითხველს ბორჯომის მინერალური წყლების შემადგენლობას, მათ მნიშვნელობას და გამოყენებას სხვადასხვა დაავადებათა დროს. მსოფლიოში განთქმული ვერც ერთი მინერალური წყალი ვერ შეედრება ბორჯომის წყალს. იგი სასურველ შედეგებს იძლევა კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა, რთული დაავადებებისას, სასიამოვნო სასმელია, შორს გადატანას უძლებს, გამოსადეგია აბაზანებისთვისაც. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მინერალური წყლების სიუხვე და განსაკუთრებული შემადგენლობა შერწყმულია იშვიათ კლიმატურ პირობებსა და მშვენიერ ბუნებასთან. ამ მხრივ იგი შორს იტოვებს მთელს მსოფლიოში განთქმულ ვიშის კურორტს, რომლის მინერალური წყალი შემადგენლობითა და სამკურნალო თვისებებით თითქოს წააგავს ბორჯომის წყალს, მაგრამ ჰავითა და ბუნების სიმშვენიერით ოდნავადაც ვერ შეედრება მას. ბორჯომის ჰავა ზომიერია — ზაფხულობით არა ცხელა, ზამთრობით ზომიერი სიცივეა, არ იცის ხშირი ქარი. ადამიანი აქ ისვენებს მართლაც ნამდვილი, სრული დასვენებით. არის კიდევ ერთი დიდი განსხვავება ევროპის ცნობილ კურორტს ვიშსა და ბორჯომს შორის: ვიში ერთი მუჭა მდიდრების კურორტია; მუშას, ნამდვილ მშრომელ ადამიანს იქ წასვლაზე ოცნებაც არ შეუძლია; ბორჯომის მრავალრიცხოვან კეთილმოწყობილ სანატორიუმებში კი მუდამ ნახავთ ჩვენი ქვეყნის გმირ მშენებლებს დიდი საბჭოეთის ყოველი კუთხიდან — დონბასიდან, ჩელიაბინსკიდან, მაგნიტოგორსკიდან, ვლადივოსტოკიდან, არხანგელსკიდან, ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, სტალინგრადიდან... ბორჯომი საბჭოთა ხალხის საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა.

წიგნის ერთ-ერთი დიდი ღირსება ისიცაა, რომ იგი გადატვირთული არ არის მეცნიერული ტერმინოლოგიით. ის წარმოადგენს შესანიშნავი სისადავითა და მხატვრული ზომიერებით დაწერილ სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევს. ავტორი მეცნიერულ დებულებებს გადმოგვცემს ყველასათვის გასაგები, სადა ენით. სწორედ ამით აიხსნება, რომ წიგნი შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

ბორჯომისა და ბორჯომის ხეობის შესახებ ჩვენ აქამდე არა გვქონია ასე თუ ისე მნიშვნელოვანი წიგნი. ეს დიდი ხარვეზი უკვე შევსებულია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ ნ. ყიფშიძის შრომას შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამედიცინო თვალსაზრისით, მასში კარგად არის მოცემული აგრეთვე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი დიადი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ტურისტებსა, და ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ბორჯომის ხეობის გაცნობით.

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობამ ქართულ ენაზედაც დაჩქარებით უნდა გამოსცეს ეს სასარგებლო და საინტერესო შრომა. სასურველია აგრეთვე ასეთივე ხასიათის მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევები გამოიცეს საქართველოს სხვა კურორტების შესახებაც.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## მურმან ლებანიძის საბავშვო ლექსები

**ვ. ჯიბუტი**

მურმან ლებანიძის საბავშვო ლექსების წიგნი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოსცა საბლიტგამმა, კარგ საჩუქარს წარმოადგენს ჩვენი ბავშვებისათვის. იგი გამოირჩევა თემების აქტუალობითა და მაღალი მხატვრულობით. ლექსები: „ამ პატარა ნათელ ჭერქვეშ", „ვინ არ იცის..." და „მოსკოვი" დიდი სტალინისადმი სიყვარულის მაღალი გრძნობებითაა გამსჭვალული. ლექსები პატარა ხელში კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ. მათში ჩვენი ბავშვების ფიქრები და განცდებია გამოხატული.

„თეთრი, თეთრი ჩიტუნები
ლურჯ გუნდებში ურევია, —
გადიფრინეს გორის ციხე —
სულ ფრთა მოხატულებია:
კრემლისაკენ გალივლივდნენ,
მოსკოვს მიეშურებიან...
ვინ არ იცის, ეგ ჩიტები
ჩვენი წრფელი გულებია!"

სამშობლოსადმი უსაზღვრო და მხურვალე სიყვარულმა თავისი სრული გამოხატულება სამამულო ომში პოვა. მხოლოდ სამშობლოსა და სტალინის სიყვარულით აღზრდილი ადამიანი არის ისეთი მტკიცე, წრფელი და თავისი ქვეყნის ერთგული შვილი, როგორიც პატარა წითელფლოტელია. „ბაღადა პატარა წითელფლოტელზე" მშვენიერი ნაწარმოებია.

სოციალისტური შრომისადმი სიყვარული, სამშობლოს სიყვარულიდან გამომდინარეობს. სამშობლო და შრომა ერთი მთლიანი ცნებაა. ამ ჭეშმარიტებამ თავისი გამოხატულება პოვა ლექსებში: „ფიქრიას წერილი სოფლიდან" და „ზეინკლები". ორივე ლექსში ნათლად ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა ბედნიერების წყაროა. ის ადამიანს აკეთილშობილებს და ალამაზებს.

მ. ი. კალინინი ამბობდა: სკოლა ბავშვისათვის მეორე მშობლიური სახლიაო. ბავშვს თავიდანვე უნდა შევაყვაროთ თავისი მეორე მშობლიური სახლი. როდესაც ბავშვი წაიკითხავს „მოგონებას", „სექტემბრის ზარებს" შეუძლებელია მან გულით არ შეიყვაროს სკოლა, და აღმზრდელი მასწავლებლები. თანამედროვე სოფლის თემას მ. ლებანიძის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან თავისი შინაარსითა და ფორმით საყურადღებოა „ნორჩ მიჩურინელთა სიმღერა", „აგრონომის თანაშემწე ჩიტებია", „სატრაქტორო სადგური", „სურათი" და სხვები.

ცალკე გამოყოფთ წიგნში მოთავსებულ პოემას — „ჩანდრას", რომელსაც საბავშვო ნაწარმოების კონკურსზე მეორე პრემია მიენიჭა. პოემაში ინდოელთა ცხოვრება მუქ ფერებშია დახატული. ის პირობები, რომელშიაც უხდებათ მათ ცხოვრება, იმდენად მიმეა, რომ ჩვენს ბავშვებს მისი წარმოდგენაც კი გაუძნელდებათ. პატარა მკითხველი ეცნობა ჩანდრას ცხოვრებას და საშინელ სულიერ ტკივილებს განიცდის, მთელი არსებით მასთან არის და სურს რითიმე დაეხმაროს მას, რათა ამოიყვანოს იმ ჯოჯოხეთიდან, რომელშიაც ხალხის ჯალათებმა ჩააგდეს ის.

„ჩანდრამ არ იცის რა არის წიგნი,
ჩანდრამ არ იცის რა არის ჩანთა.
ჩანდრამ კი იცის
რა არის ფიქრი,
რაა ოცნება და რაა ნატვრა,
და სანატრელიც პატარა ბიჭის
შავი პურია და თეთრი ბრინჯი..."

პოემაში მკრთალადაა დახატული მოხუცი მგოსნის სახე, მაგრამ მისი გავლენა ჩანდრაზე მაინც კარგად ჩანს. ჩანდრა მალე გაერკვა სპილოზე მჯდომი კაცის სიმღერის აზრსა და მიზანში. მასთან დაახლოების შემდეგ ჩანდრა გამოფხიზლდა, განწყობილება შეეცვალა, მისთვის ნათელი გახდა თავისი ხალხის ტანჯვის მიზეზები. იგი ებმება ინდოელთა განმანთავისუფლებელ ბრძოლაში.

სოციალურ ჩაგვრაში, ულუკმაპუროდ დარჩენილ ოჯახში აღზრდილი ჩანდრა უაღრესად კეთილშობილი და სპეტაკი სულის მატარებელი ადამიანია. საკმარისია გავიხსენოთ პოეტის სიტყვები „სამშ პაზია" და ჩანდრას ცრემლები და ჩვენ დავრწმუნდე-

ბით, თუ რამდენად მდიდარი ბუნების ადამიანია ჩანდრა.

ავტორი კარგად მოიქცა, როდესაც პოემაში შიგადაშიგ ჩაურთო საბჭოთა ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები. კონტრასტულ სურათებში კარგად ჩანს ორი სხვადასხვა სამყაროს სახე. თავისუფალი ქვეყნის, ბედნიერი ხალხის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები პოემის ორიგინალურ ნაწილს წარმოადგენს. პოემა შეკრულია ერთი მთლიანი იდეით და მისი სიუჟეტიც ამ ძირითადი იდეის მიხედვით ვითარდება. პოემის სიუჟეტი არ არის დატვირთული ზედმეტი დეტალებით. ყველა დეტალს თავისი დანიშნულება აქვს. ისინი მთავარის და ძირითადის გახსნას ემსახურებიან, ნაწარმოებს ნაციონალურ კოლორიტს უნარჩუნებენ. მართალია, პოემის პირველ თავში ჩანდრა სევდიანია, ცხოვრებამ მას თავისი დაღი დაასვა, მაგრამ ის თანდათანობით ოპტიმისტი ხდება. პოემის ბოლო ნაწილში იგი უკვე ხედავს ინდოეთის ხალხის განთავისუფლების გზას. აქაც ავტორი სიუჟეტს რეალისტური ხერხით ანვითარებს და ნაწარმოებს აძლევს დამაჯერებელ სახეს.

## შექსპირის სონეტები ქართულ ენაზე

### ნიკო ყიასაშვილი

გამოვიდა აღორძინების ეპოქის დიდი ინგლისელი ჰუმანისტისა და რეალისტის უილიამ შექსპირის სონეტების სრული ქართული თარგმანი, შესრულებული ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძის მიერ.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს შექსპირის პიესებს, განსაკუთრებით ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილ ტრაგედიებს. მაგრამ შექსპირის პოეზია ქართულად აქამდე არ ყოფილა თარგმნილი, იმ დროს, როდესაც შექსპირი ბრწყინვალე პოეტურ ნაწარმოებთა ავტორიცაა. შექსპირის პოემებში და განსაკუთრებით სონეტებში მოჩანს მისი პოეტური ხელოვნების სიდიადე და მრავალფეროვანება, მისი ესთეტიკური მრწამსი და მსოფლმხედველობის ელემენტები. გარდა ამისა მათ დიდი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობაც აქვთ: მათ პოეტურ სახეებში ეძებენ შექსპირის ბიოგრაფიის ანარეკლს.

მთარგმნელი კარგად იცნობს შექსპირის ეპოქას, შექსპირის ტექსტს — ენასა და სტილს. მთარგმნელის მეთოდი მეცნიერულია, რაც უზრუნველყოფს თარგმნილი სონეტების სიახლოვეს დედანთან. ამრიგად გივი გაჩეჩილაძის თარგმანი ამავე დროს საბჭოთა მეცნიერის მიერ მოცემული შექსპირის ტექსტის ახალი ინტერპრეტაციაა.

მაგრამ შექსპირის სონეტების ქართული თარგმანის მთავარი ღირსება ისაა, რომ მთარგმნელმა იპოვნა წერის ერთი გარკვეული, ასე ვთქვათ შექსპირული მანერა და ამით ქართულ თარგმანს თვით შექსპირის სონეტების სურნელება და ელფერი შესძინა. როცა ღრმად ჩაფიქრებული პოეტი ჟამთა ცვლის სისასტიკეზე, ბუნების მკაცრ კანონზომიერებაზე მსჯელობს და ამ ფილოსოფიურ რეფლექსიაში თავის სევდიან განწყობილებას აქსოვს, მთარგმნელი სამართლიანად უსვამს ხაზს სონეტის ეპიკურ ელემენტებს. ასევე დედნის ლირიკული მოტივები თარგმანში ადექვატური ჟღერადობითა და დახ-




ვეწილი ნიუანსებითაა გადმოცემული.

სწორად ესმის მთარგმნელს შექსპირის სონეტების ცნობილი „შავგვრემანი ქალბატონის“ თემა. გივი გაჩეჩილაძე ამ ლირიკული მოტივის ჩვენებისას სიზუსტით გადმოგვცემს შექსპირის ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს: თარგმანში ნათლად ისმის ბუნებრიობის აპოთეოზი და ხელოვნურობის უარყოფა. შექსპირი ილაშქრებს იმდროინდელ არისტოკრატთა სალონებში გაბატონებულ, ერთხმად აღიარებულ სილამაზისა და მშვენიერების ყალბი იდეალის წინააღმდეგ. მისი გატაცება „შავგვრემანი ქალბატონის“ სიყვარულით საინტერესოა არა იმდენად პოეტის სუბიექტური გემოვნების გაგებისათვის, რამდენადაც მის მიერ ბუნებრივი სილამაზის პრინციპის აღიარების თვალსაზრისით. შექსპირი ხაზგასმით ემიჯნება ოქროსკულულებიან ქალბატონების მეხოტბეთა გემოვნებას და შავ ფერსაც კი აღიარებს ლამაზ ფერად, თუკი იგი ბუნებრივია. იმ დროის არისტოკრატთა ესთეტიკური ნორმების მიხედვით კი ეს ყოვლად დაუშვებელი იყო. შექსპირი ილაშქრებს ყალბი ფერების წინააღმდეგ, რომლითაც ცდილობენ მახინჯი სინამდვილის ლამაზად წარმოდგენას და დაასკვნის:

„ამიტომ ჩემი სატრფოს თმები
ყორნისფერია,
თვალნი ელავენ მგლოვიარე
მშვენიერებით;
ძაძით მოსილნი სიბრალულით
თუ შესცქერიან
მას, ვინც ბუნებას შეურაცხყოფს
ყალბი ფერებით!“

მთარგმნელი ცდილობს ასეთი ადგილები, რომელთაც სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვთ შექსპირის ხელოვნების პრინციპებისა თუ მსოფლმხედველობის დადგენისათვის, შესაძლებლობისამებრ სადად და გასაგებად გადმოიტანოს ქართულად.

გივი გაჩეჩილაძის ნაშრომი, წარმოადგენს შექსპირის სონეტის ცოცხალ, ძარღვიან და სადა თარგმანს. თარგმანი იკითხება თავისუფლად.

**გარეკანის პირველ გვერდზე:** სოფ. ძველი ანაგის კოლმეურნეობის (სიღნაღის რაიონი) მოწინავე მევენახე იესე ტალიაშვილი. ფოტო ვლ. გინზბურგისა.
**მეოთხე გვერდზე:** „ჩურჩხელის ამოვლება“—ფოტოეტიუდი ვლ. გინზბურგისა.

## უცხოეთის ჰუმორი

### გულახდილი საუბარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბელგრადში**

ორი ბელგრადელი გულახდილად საუბრობდა.

—ჩემს ცოლისძმას როგორღაც წამოსცდა, რომ არაფრად ეპიტნავება ტიტოს რეჟიმი. ამისათვის მას ხუთი წლის ციხე მიუსაჯეს.... ჩვენ შორის დარჩეს და, თქვენ რა აზრისა ხართ ტიტოზე?

დაფიქრების შემდეგ მეორემ უპასუხა:

— მე, ჩემო ძმაო, სულ ცოტა, ოცი წლით ჩამსვამდნენ ციხეში.

**ლონდონში**

ბრიტანეთის არმიისათვის მოხალისეებს დაეძებდნენ. ქალაქის ქუჩებში გამოკრული განცხადებები არწმუნებდნენ ლონდონელებს:

„სტატისტიკა ამტკიცებს, რომ პარაშუტით გადმოხტომა გაცილებით უვნებელია, ვიდრე ლონდონის ქუჩაზე გადასვლა“.

მოხალისეთა სამმართველოს უფროსმა გენერალმა მურმა ერთი შოტლანდიელისაგან ასეთი წერილი მიიღო:

„სერ, მე ძლიერ მომეწონა თქვენი განცხადება და სულითა და გულით ვაპირებდი ბრიტანეთის არმიის მოხალისედ გახდომას. საუბედუროდ, გასაწვევი პუნქტი ჩემი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს აღმოჩნდა და რადგანაც ქუჩის გადაჭრა უფრო საშიშია, ვიდრე პარაშუტით გადმოხტომა, მე არმიაში მოხალისედ შესვლისაგან თავს ვიკავებ.“

**პარიზში**

პოლიციაში ახლად ჯვარდაწერილი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მოიყვანეს.

— რა ბრალი ედებათ მაგათ?

— ეგენი საშიში ხალხია. მთელი ქალაქი ლაპარაკობს, რომ სულ მტრედებივით ღუღუნებენო.

**რომში**

ერთი იტალიელი ითხოვდა ამერიკაში წასვლის ნებართვას.

— თქვენ ვიზას ვერ მიიღებთ, — უპასუხეს საკონსულოში, — თქვენ ხომ ფაშისტი იყავით?

— ჰო, მაგრამ, მე უკვე დიდი ხანია გავწყვიტე ფაშიზმთან ყოველგვარი კავშირი.

— აი, სწორედ ამიტომ ვერ მიიღებთ თქვენ ვიზას.

**თეირანში**

ირანის ნავთზე მოლაპარაკების დროს ინგლისური კაპიტალის წარმომადგენელმა თქვა:

— დიდი ბრიტანეთი მრავალი წლების მანძილზე გეხმარებათ თქვენ. ნუთუ ვერა ხედავთ დასახმარებლად ინგლისელები თუ როგორ გიწვდიან ხელებს?

— ჩვენ არასოდეს არ დაგვინახავს მათი ხელები.

— რატომ?

— იმიტომ რომ ისინი ხელებს ერთთავად ჩვენს ჯიბეებში აფათურებენ.

რედაქტორის მაგიერ—ვ. ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38 | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/X-52 წ. გამომც. № 217 ნაბეჭდი ფურც. 3½ ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 657 უე 14865

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.




## ა. ტროიცკის ეტიუდი

რუსი მოჭადრაკეების საყვარელი კაფე პეტერბურგში — „დომინიკა“, რომელიც გასული საუკუნის 90-ან წლებში თავისებურ საჭადრაკო კლუბს წარმოადგენდა, ერთ დღეს უჩვეულოდ გამოცოცხლდა.

კაფეში მოვიდა იმ დროს ჯერ კიდევ უცნობი, პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის მსმენელი, შემდეგში გამოჩენილი ეტიუდისტი ა. ა. ტროიცკი.

მან მოსვლისთანავე ახლისაკენ შემოაბრუნა საეტიუდო ხელოვნება. იმდროინდელი მშრალი, ანალიზური ხასიათის კომპოზიციების ნაცვლად, თან მოიტანა ესთეტურად დახვეწილი, ნამდვილად შემოქმედებითი ეტიუდები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მომხიბვლელობა.

ტროიცკის პირველი ეტიუდებით, რომლებიც 1895-96 წლებში გამოქვეყნდა, საფუძველი ეყრება თანამედროვე საეტიუდო ხელოვნებას.

ა. ა. ტროიცკი საჭადრაკო ეტიუდის შესახებ ერთგან შენიშნავდა — „საჭადრაკო ეტიუდი ეწოდება ჭადრაკის დაფაზე შექმნილ ისეთ მდგომარეობას, რომელიც შეგვეძლო მიგვეღო პარტიაში, სადაც ერთ მხარეს, ჩვეულებრივ თეთრებს, წინადადება ეძლევათ პარტია დაამთავრონ თავიანთი გამარჯვებით ან იძულებითი ყაიმით. ეტიუდის წარმოშობა შეიძლება იყოს ორგვარი—იგი შეიძლება წარმოიქმნას პრაქტიკული პარტიიდან, ან როგორც შემოქმედების პროდუქტი“.

სწორედ ამ უკანასკნელ, შემოქმედებით მომენტს მიანიჭა მან უპირატესობა თავის ეტიუდებში. ტროიცკიმ გამოავლინა და შეიმუშავა საეტიუდო ჩანაფიქრთა დიდი უმრავლესობა. მას ეკუთვნის პრიორიტეტი ამ შემოქმედების თითქმის ყველა დარგში. ტროიცკიმ შეიმუშავა საჭადრაკო ეტიუდის დასრულებული თეორია. მისი თეორიის ძირითად ღირსებას წარმოადგენს მდგომარეობის სიცოცხლის უნარიანობა და რეალიზმი. რუსულ საეტიუდო ხელოვნებას, ტროიცკის გამოჩენის შემდეგ, მალე გაუჩნდა ღირსეული მემკვიდრეები ძმები პლატოვებისა და ლ. კუბელის სახით. ტროიცკის მაღალი საკომპოზიციო შემოქმედების ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს შემდეგი ეტიუდი (გამოქვეყნდა 1897 წ.).



თეთრები იწყებენ და იგებენ.

თეთრები, მატერიალური უპირატესობის მიუხედავად, მძიმე მდგომარეობაში არიან ეb1 და g2 მუქარის გამო

1. კe8 — c6! . . .

ავტორის მიერ შორს განზრახული კომბინაციის ბრწყინვალე დასაწყისია.

1. . . . ეb4 — b1+

2. მფ d1 — e2 ეb1 : h1

3. კc6 — g2+! . . .

ჯადოქრობაა ჭადრაკის დაფაზე!

3. . . . მფ h 3 : g2

4. მg6 — f4+ მფg2 — g1 ტრაგიკულ-კომიკური მდგომარეობაა! თეთრების ბრწყინვალე თამაშის შედეგად შავ მეფეს დარჩა მხოლოდ ერთადერთი—კუსა და ეტლის ჩამკეტავი სვლა

5. მფe2 — e1 g3 — g2

6. მf4 — e2×

დიდი შთაბეჭდილების მომხდენი ეტიუდია. ამ ეტიუდს ერთნაირად გაიგებს, როგორც დიდოსტატი ისე ჭადრაკის მოყვარული. სწორედ ამაშია ტროიცკის გენიალობა.

1929 წელს საბჭოთა მთავრობამ ა. ტროიცკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭა და ამით ხაზი გაუსვა, რომ საჭადრაკო ეტიუდი წარმოადგენს ხელოვნების დამოუკიდებელ დარგს.

**გ. ნადარეიშვილი**

# კროსვორდი

პ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

6. მათემატიკური ტერმინი. 9. ქანების ჩამორეცხა—დაშლა. 10. ლიტერატურული ჟანრი. 12. გარეული ცხოველი. 13. გაქანების სიდიდე რხევის დროს. 14. სპორტული ჯილდო. 17. გამოჩენილი უზბეკი პოეტი. 20. შეიარაღებული ძალები. 22. მინერალი. 23. ძალის ერთეული. 24. სიმებიანი საკრავი. 25. ისტორიული ძეგლი საქართველოში. 26. მაიმუნის ჯიში. 27. ნაწარმოების მთავარი აზრი. 29. ქალაქი ნორვეგიაში. 30. არევ-დარევა, უწესოება. 31. გარეული ცხოველი. 33. ძალის მოქმედება სხეულის ფართზე. 37. საზღვაო ტრანსპორტი. 38. მეცნიერება. 39. აჟეზოვის რომანი. 42. რთული მთის ქანი. 45. მანქანის მამოძრავებელი ნაწილი. 46. მუსიკალური ნიშანი.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. რუსი მხატვარი. 2. დეკორატიული მცენარე. 3. განვითარების ერთ-ერთი საფეხური. 4. მდინარე სსრ კავშირში. 5. სხეულის ნაწილის დაზიანება. 6. დედამიწის ბირთვის ძირითადი მასა. 7. გალვანური ელემენტის დადებითი პოლუსი. 8. ძვირფასი ქვა. 11. ციტრუსოვანი ნაყოფი. 15. მათემატიკური მოქმედება. 16. მეცნიერება. 17. ნორვეგიელი მოგზაური. 18. ქალაქი სსრ კავშირში. 19. სხეულის ორგანოს გადაგვარება. 21. ნახევარკუნძული წყნარ ოკეანეში. 28. მდინარე მტკვრის შესართავი. 32. ლიტერატურული ნაწარმოების ერთ-ერთი სახე. 34. გერმანელი კომპოზიტორი. 35. სახელმწიფო აღმოსავლეთში. 36. ფრანგი მწერალი. 40. ცისკარი, განათება. 41. ვულკანი ევროპაში. 43. სახელმწიფოთა შორის დიპლომატური მიმართვა. 44. საბჭოთა აკადემიკოსი.



**„დროშის“ № 6-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი**

პ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

4. ლონდონი. 7. ურანი. 8. ატამი. 9. ტრავმა. 10. ანიონი. 13. კესონი. 16. სტამბა. 17. ვირტა. 18. ანონსი. 19. ბალანსი. 20. პრიზმა. 22. ირემი. 24. აგენტი. 25. გვალვა. 28. ბრამსი. 30. დოლარი. 31. ფტორი. 32. პოტიე. 33. დეკრეტი.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

1. შედევრი. 2. პლენუმი. 3. ნიუტონი. 5. არტაანი. 6. იმპორტი. 11. ტექნოლოგი. 12. ობრაზცოვი. 14. ყიზლარი. 15. სტანუმი. 21. ოტრანტო. 23. ავიაცია. 26. ესტრადა. 27. კოლონია. 29. მაზურკა.

# ნარევი

## 1185 წლის მზის დაბნელება

ძველ რუსულ შესანიშნავ ლიტერატურულ ძეგლში — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ სხვათა შორის ნაამბობია, თუ როგორ დაბნელდა მზე რუსების ყივჩაღებთან ბრძოლის წინ.

რა არის ეს—პოეტური ხერხია თუ ნამდვილი შემთხვევა?

მეცნიერთა ზუსტმა გაანგარიშებამ და გამოთვლებმა დაადასტურეს „ამბავის“ ავტორის დაკვირვება:

1185 წლის 1 მაისს მზის დაბნელების ზოლმა ნამდვილად გაიარა მდინარე დონეცის რაიონში, სადაც მაშინ თავად იგორის ლაშქარი იდგა.

## პრეპარატები სამკურნალო მცენარეებისგან

ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს სამკურნალო მცენარეების შესასწავლად და მათგან ახალი სამკურნალო პრეპარატების მისაღებად.

ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს წარმოადგენენ ის მცენარეები, რომლებიც სისხლის წნევის დამწევ ნივთიერებებს შეიცავენ. ასეთ ნივთიერებებს, რომლებიც სისხლის წნევის დაწევას იწვევენ და ჰიპერტონიით დაავადებულ ადამიანის საერთო მდგომარეობას აუმჯობესებენ, შეიცავს, მაგალითად, ხურუმი. ეს მცენარე, და მრავალი სხვა ამდაგვარი, ფართოდაა გავრცელებული მთელ საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით, ციმბირში, შუა აზიის რესპუბლიკებში, კავკასიაში.

ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეცნიერების მიერ შესწავლილ იქნა მაგნოლიის, ფითრისა და კუნელისგან მიღებული პრეპარატები.

მაგნოლიისა და კუნელის თხევადი ექსტრაქტის (ნაწური) და ფითრის ნაყენის მოქმედების გამოცდამ დადებითი შედეგი გამოიღო ჰიპერტონიით დაავადებულ ადამიანებზე. ასე, მაგალითად, მაგნოლიის ექსტრაქტი იწვევს არა მარტო სისხლის წნევის დაწევას, — ის ბევრ შემთხვევაში აუმჯობესებს ავადმყოფის საერთო მდგომარეობასაც. ასევე მოქმედებს კუნელის ნაყოფის ექსტრაქტი და ფითრის ნაყენი.

ამჟამად ჩვენს ლაბორატორიებსა და კლინიკებში წარმოებს ამ ახალი სამკურნალო ნივთიერებების ზედმიწევნითი შემოწმება.

(„ნაუკა ი ჟიზნ“, 1952, № 7)

ფასი 3 მან.



ეროვნული ბიბლიოთეკა
118/140